# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 25 თებერვალი. 2017 წ. №44 (8181), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## თბილისის საკრებულოს „რუსთავი-2“-ის ფილიალს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა!

– შოთა ნაზღაიძეს კანონიერად აუნაზღაურდა სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი.

თქვე უსირცხვილოებო, თვითონ ის სტიქიაც იქნებ მალე ბიძინა ივანიშვილის ნებას დააბრალოთ!



2

## მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

3

## საქართველოში კატასტროფების რისკის შემცირების სტრატეგია დამტკიცდა!





4

## სიკვდილისთვის გამეტებული ვალერი გელაშვილი!

**სააპელაციო სასამართლომ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის საქმეში ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო**

ომარ მარგველაშვილი:

## მიუნხენის კონფერენცია და ჩვენი პრობლემები



5

ერთი კეთილსინდისიერი, გამოცდილი, უშიშარი, სამშობლოსა და ხალხის მოყვარული მეურნე ხელმძღვანელის ხელია საჭირო აღნიშნულის მოსაგვარებლად, ურომლისოდაც ნამდვილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. ფაქტია – არც ასეთი მეურნე ჩანს და არც არსებული საკითხების მოგვარების სურვილი.



## მათი სამშობლო

საქართველოს პატრიარქის სტუმრობა პარიზის მართლმადიდებლურ ეკლესიაში 1980 წელს.



7

## მირჩა ელიადეს საუკუნის ნააზრევი

6

## ღმერთთან და უღმერთოდ...



## რუბრიკის წარდგინება

●

## ლეგენდები

10



სლავა მეტრეველი

## მწვანე მინდვრის რაინდი



# ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონპროექტთა პაკეტში ცვლილებები შევიდა

**პრემიერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ახალი სააგენტოს ხელმძღვანელის კანდიდატურას აღარ წარუდგენს. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონპროექტთა პაკეტში ცვლილებები შევიდა. მმართველმა გუნდმა გარკვეული შენიშვნები გაითვალისწინა, რაც იმას გულისხმობს, რომ ახალი სააგენტოს ხელმძღვანელს პრემიერი კომისიის წარდგინებით დანიშნავს. ამასთან, კომისიას ვინ წარუდგენს კანდიდატებს, ეს საკითხი ღიად რჩება.**

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ამ საკითხზე კონსულტაცია გაიმართება და გადაწყვეტილება ამის შემდეგ მიიღებენ. გარდა ამისა, სუსის უფროსი აღარ დანიშნავს სააგენტოს უფროსის მოადგილეებს და არც დებულებას დაამტკიცებს.

**საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, ფარული მოსმენების განსახორციელებლად სუს-ის დაქვემდებარებაში „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო" იქმნება. უწყების ტექნიკურ აღჭურვაზე და შენობა-პერსონალის შენახვაზე 2018 წელს 30 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.**



# საქართველო EBRD-ის წლიურ შეხვედრაზე საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაციას გამართავს

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წლიურ შეხვედრაზე, რომელიც 2017 წლის მაისში კვიპროსზე ჩატარდება, საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ექნება, წლიური შეხვედრის მონაწილე ბიზნეს-წრეების წარმომადგენლების წინაშე ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე პრეზენტაცია გამართოს.**

აღნიშნული სიახლის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და EBRD-ის რეგიონულმა დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, ბრუნო ბალვანერამ ისაუბრეს. შეხვედრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩატარდა და მას ასევე დაესწრო ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა.

შეხვედრაზე დიმიტრი ქუმსიშვილმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიურ შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკური და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაციის გამართვის შესაძლებლობას.

თავის მხრივ, EBRD-ის რეგიონული დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მსგავსად, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას მიეცა საერთაშორისო ინვესტორების წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის ჩატარების შესაძლებლობა. მისი განცხადებით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რეფორმატორი ქვეყანაა, სადაც ინვესტიციების განხორციელების კარგი შესაძლებლობაა.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოსა და EBRD-ის ურთიერთობის მიმართულებები და სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტები განიხილეს. აქცენტი გაკეთდა 4-წლიანი თანამშრომლობის სტრატეგიაზე, რომელიც EBRD-მა შარშან დეკემბერში დაამტკიცა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღნიშნული სტრატეგია სრულ შესაბამისობაში მოდის საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან.

# თბილისის მერია: ზვიად ნაზღაიძეს ქონების ზარალი კანონიერად აუნაზღაურდა!

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2017 წლის 23 თებერვალს გავრცელებულ განცხადებას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ ასაჯაროებს ინფორმაციას, იმ ძირითად ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება ზვიად ნაზღაიძისთვის საკუთრების ჩამორთმევისა და მისთვის სამართლიანი ანაზღაურების საკითხს:



**2013 წლის 24 დეკემბერს სს „საქართველოს ბანკსა" და ზვიად ნაზღაიძეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და ამავე ხელშეკრულებით ზვიად ნაზღაიძეს ხელშეკრულების საგანზე გადაეცა შესყიდვის ოფცია. შესყიდვის ოფცია საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2014 წლის 3 იანვარს და რეგისტრირებული იყო 2015 წლის 3 ნოემბრამდე, მათ შორის, სტიქიის პერიოდშიც. საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.**

**მიუხედავად მხარეებს შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული თავდაპირველი ვადისა, უტყუარად დადგენილი გარემოებაა, რომ ოფციის უფლება არსებობდა აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომაც, აღნიშნული დასტურდება იმ ფაქტობრივი გარემოებითაც, რომ ოფციის მხარეებს არ მიუმართავთ საჯარო რეესტრისთვის მისი გაუქმების მოთხოვნით და მეტიც, 2016 წელს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლითაც ბანკმა ქონება გადასცა ნაზღაიძეს, საფუძვლად დაედო მხარეებს შორის მანამდე არსებული – 2013 წლის 24 დეკემბრის ოფციის ხელშეკრულება. კერძოსამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლითაც დაშვებულია კერძო პირებს შორის ნებისმიერი გარიგების არსებობა, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს. ამასთან, გადაწყვეტილების მიღების მომენტში ზვიად ნაზღაიძე წარმოადგენდა ქონების რეგისტრირებულ მესაკუთრეს, შესაბამისად, უძრავი ნივთის სამართლებრივი ბედის განსაზღვრისას (მესაკუთრისთვის ჩამორთმევა), ადმინისტრაციული ორგანოსთვის მნიშვნელოვანი იყო უფლებამოსილი პირის – მესაკუთრის გამოვლენა შესაბამისი ფუნქციურ-სამართლებრივი ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ მონაცემებზე დაყრდნობით და არა მხარეებს შორის არსებულ, კერძოსამართლბრივ ურთიერთობათა შინაარსის კვლევა.**

**რაც შეეხება მესაკუთრისათვის ჩამორთმეული ქონების ღირებულების შეფასებას, კანონი, რომლითაც მუნიციპალიტეტმა იხელმძღვანელა, ითვალისწინებს, რომ ქონების ჩამორთმევისას დაცული უნდა იყოს ორი უმთავრესი პრინციპი – ანაზღაურება იყოს სამართლიანი და სრული. გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორია მოქცეულია სტიქიის ზონაში და ქონება შეუსაბამო აღმოჩნდა შემდგომი სამშენებლო განვითარებისთვის, მისი ჩამორთმევისას, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით დადგენილი წესით დაექვემდებარნენ სამართლიან ანაზღაურებას) დაზარალებულის მიმართ სამართლიანი ანაზღაურების განსაზღვრისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა იხელმძღვანელა უძრავი ქონების სტიქიამდე არსებული ღირებულებით, რაც დადგინდა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზარალებულისათვის სტიქიამდე არსებული ღირებულების შეუთავაზებლობა იქნებოდა ზემოაღნიშნული უმთავრესი პრინციპების დაუცველობა.**

**ამდენად, 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის არეალში მოქცეული უძრავი ქონების ჩამორთმევის პროცესში, მნიშვნელოვანია თავად უძრავი ნივთის ფაქტობრივი მდებარეობა და სამართლებრივი ბედი და არა გადაწყვეტილების სუბიექტი, რომლის მიმართაც ხორციელდება საკუთრების ჩამორთმევა.**

**ამასთან გვინდა, ხაზგასმით განვაცხადოთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას, მიღებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გამჭვირვალობის, თანაზომიერების, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით",** – ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ადამიანს ცილს ნუ სწამებთ!



მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ოჯახისთვის მილიონიანი ქონების გადაცემის ფაქტზე დამატებითი განმარტება გააკეთა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა. ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ ის მოსამართლეს პირადად შეხვდა და სადავო საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასაც სრულად გაეცნო. საბჭოს მდივანი მიიჩნევს, რომ ნაზღაიძის ოჯახის მისამართით უსაფუძვლო ბრალდებები ისმის და კანონდარღვევას გამორიცხავს.

**„ადამიანს, თუ არ არის დაინტერესებული, ეჭვი არ გაუჩნდებოდა იმაში, რომ არავითარ ურთიერთობასა და ქრთამის აღებაზე აქ საუბარი არ არის. გუშინ რა დოკუმენტებზეც იყო საუბარი და რაც არის ჩამონათვალი, ყველა დოკუმენტი ნანახი მაქვს. მე შევხვდი ნატას და გამოვართვი ის დოკუმენტები. ამიტომ ვამბობდი მე არაერთხელ, რამდენჯერმე გავუსვი ხაზი და მოვუწოდებდი პოლიტიკოსებს, რომ ადამიანს ცილს ნუ სწამებთ. ის, რასაც პოლიტიკოსების მხრიდან ადგილი ქონდა, არის ჩემი მხრიდან ამორალური",** – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

# განკარგულება არ უნდა გაუქმდეს!



საკრებულოს დეპუტატების მოთხოვნის მიუხედავად დავით ნარმანია საკრებულოში მისვლას არ აპირებს. დედაქალაქის მერის განცხადებით, ის პოლიტიკური შოუს მონაწილე არ გახდება.

**„მე ამ პოლიტიკურ შოუში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ , ვინაიდან ეს იქნება პოლიტიკური შოუ და მას რეალობასთან შეხება არა აქვს. ჩვენ ტერიტორიის გადაცემა კანონისა და პროცედურების სრული დაცვით მოვახდინეთ. განკარგულება არ უნდა გაუქმდეს, ეს არის აბსოლუტურად კანონიერი განკარგულება.**

**რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელიც წესში ცვლილებას უკავშირდება, ჩვენ იმ ოჯახებთან ვმუშაობთ და წესში რაიმე ცვლილების შეტანას არ საჭიროებს",** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

# თუ ნაზღაიძის ძმა მოსამართლის ძმა არის, ეს არ ნიშნავს, რომ უნდა დაიჩაგროს...



**ოპოზიციის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს „რუსთავი-2"-ის საქმის მოსამართლის ნატა ნაზღაიძის ოჯახისთვის მილიონიანი კომპესაციის გადაცემის გამოძიება საპარლამენტო უმრავლესობაში ეხმაურებიან.**

უმრავლესობა ოპონენტების მხრიდან მოსამართლეების დისკრედიტაციის მცდელობაზე საუბრობს. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ ნაზღაიძის ძმა იმის გამო არ უნდა დაიჩაგროს, რომ ის მოსამართლის ოჯახის წევრია.

**„თუ ნაზღაიძის, მოსამართლის ძმა არის, ეს არ ნიშნავს, რომ უნდა დაიჩაგროს, როდესაც ანაზღაურება ხდება და მით უმეტეს თუ მას საერთოდ არ ეკუთვნის ეს ნაკვეთი და გარდა ამისა მოვიგონოთ ისიც, რომ ადამიანი, რომელზეც ყველაზე დიდი შეტევა მიმდინარეობს უსაფუძვლოდ და უზნეოდ, ბიძინა ივანიშვილი არის მთავარი შემომტანი იმ ფონდში, რითიც აუნაზღაურდა ზარალი,"** – განაცხადა გია ვოლსკიმ.




# ვიქტორ დოლიძე საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

**24 თებერვალს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ხელმძღვანელს კესტუტის იანკაუსკასს შეხვდა.**

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას, ოკუპირებული ტერიტორიების გასწვრივ სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას და სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს.

**„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ეს არის ერთადერთი საერთაშორისო კომპონენტი მონიტორინგის, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიის ხაზის გასწვრივ ოპერირებს და მოქმედებს. ასევე მათი წვლილი ძალიან დიდია საერთაშორისო მექანიზმში, როგორიცაა ინციდენტების პრევენციის მექანიზმი და მოგეხსენებათ, გალში აღდგა ამგვარი შეხვედრები და, ბუნებრივია, ისინი უზრუნველყოფენ გადაადგილებას. თვითონ ბატონი იაკოვსკიც ძალიან ახლო მეგობარია ჩვენი ქვეყნის და მისი წარმომადგენლები, რომელთაგან ყველაზე მეტი ადამიანი იმყოფება საქართველოში, ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ. ვისაუბრეთ პოლიტიკურ თემებზეც, შევეხეთ მათ შორის ნატო-ს დაგეგმილ სამიტს, საქართველო-ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს, იმ წარმატებებს, რაც შესაძლებელია ჩვენ ამ ურთიერთობიდან გამოვიტანოთ. საქართველოს ხელისუფლება და ჩვენი აპარატი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული იმაზე, თუ რა გვინდა, რა გვჭირდება და რა შესაძლო მიზნებს შეიძლება მოემსახუროს აღმოსავლეთ პარტნიორობის დაგეგმილი სამიტი. დეტალურად მიმოვიხილეთ ის დარღვევები, ის პროვოკაციული ქმედებები და არა მხოლოდ ქმედებები, განცხადებები და რუსეთის მიერ დაგეგმილი პროვოკაციები, რომელიც თუნდაც ეხება რეფერენდუმის მოწყობას და ა.შ“** — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მისივე თქმით, შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო ის, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ადგილზე თავად მონიტორინგის სისტემა: **„აფხაზეთის ოკუპირებული ხაზის გასწვრივ იქნება, თუ იგივე ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მომავალში, ვისაუბრეთ იმაზე, რომ ახალი ინიციატივები, რომელიც შემუშავების პროცესშია ქალბატონ ქეთი ციხელაშვილის და მისი უწყების მიერ — უფრო მეტი კონტაქტი ხალხებს შორის, უფრო მეტი ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული, თუ ჰუმანიტარული ურთიერთობების გახსნა, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ხელს შეუწყობს რეინტეგრაციის პროცესს ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების ისევე, როგორც წაადგება ქვეყნის მომავალ გამთლიანებას, რაშიც ეჭვი არავის ეპარება. უმთავრესი მიზანი, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ჰქვია, ეს არის ყველასთვის, მათ შორის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ყოფნის უმთავრესი მიზანი და დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ პროგრესი გვექნება მომავალში“,** — აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ. სახელმწიფო მინისტრი ამბობს, რომ საქართველოში სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელთა რაოდენობა საკმარისია, უბრალოდ შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების მეტად განვითარება და შესაბამისად, მათი ეფექტიანობის გაზრდა: **„ჯერჯერობით ის რაოდენობა, რომელიც არის, 200-ზე მეტი ადამიანი, ვფიქრობთ, საკმარისია. ვნახოთ, მომავალში შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების უფრო მეტად განვითარება, მეტი სიახლის შეტანა. ამაზე ფიქრობენ როგორც მისიის წარმომადგენლები, ისე-ჩვენც. ძალიან მნიშვნელოვანია, იგივე ხურჩაში მომხდარი მოვლენების შემდგომ, რომ 24-საათიანი მონიტორინგი, დაფიქსირება ამ ყველაფერის ხდებოდეს. გაუმჯობესების იმედი ნამდვილად მაქვს. უფრო ახალი ელემენტების უფრო მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებაზეა საუბარი. ბუნებრივია, 24-საათიანი რეჟიმი ისედაც წარმოებს.საკმაოდ დიდი რაოდენობაა დამკვირვებლების განლაგებული, მაგრამ ეფექტურობის გაზრდა, დამეთანხმებით, ყოველთვის მნიშვნელოვანია“,** — განუცხადა ვიქტორ დოლიძემ ჟურნალისტებს.

# საქართველოში კატასტროფების რისკის შემცირების სტრატეგია დამტკიცდა, როგორია მეცნიერებათა აკადემიის ახალი ამოცანები?

**რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 2017 წლის 11 იანვარს, საქართველოს მთავრობის № 4 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს კატასტროფების რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.**

**ამ აქტუალურ საკითხებზე სასაუბროდ მივმართეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ სწავლულ მდივანს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გურამ გაბრიჩიძეს.**

**— რა როლი ეკისრება მეცნიერებათა აკადემიას და სამეცნიერო წრეებს ამ შემთხვევაში?**

ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მასში არის ჩამონათვალი იმ საფრთხეებისა, რომლებიც არსებობს საქართველოში, კერძოდ, წყალდიდობები და წყალმოვარდნები, მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესები, ვეტერინარული საფრთხეები, ფიტოსანიტარიული საფრთხეები, მიწისძვრები, სეტყვა, ზვავები, ძლიერი ქარები, ტყის და ველის ხანძრები, ქიმიური საფრთხეები, წყლისმიერი ეროზიული საფრთხეები, გვალვა, პანდემია, დარიშხანშემცველი ნარჩენები, ჰიდროდინამიკური, კერძოდ, ენგურის, ჟინვალის, შაორის კაშხლების და ფოთის წყალგამყოფი კვანძის ავარიები.


გურამ გაბრიჩიძე

სახელმწიფო პროგრამაში გაკეთებულია ამ საფრთხეების და მათ საუძველზე კატასტროფების წარმოშობის რისკების შეფასების ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების მაქანიზმები.

სახელმწიფო პროგრამის სრული ტექსტი საჯაროა და განლაგებულია ვებ- გვერდზე www.matsne.gov.ge (საძიებო გრაფაში უნდა მიუთითოთ — საქართველოს კატასტროფების რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“)

სახელმწიფო პროგრამის ერთი ნაწილის შესრულებაში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინიტროსა და გაეროს სპეციალურ (UNISDR) სტრუქტურასთან ერთად, მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც. აკადემია, 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და რისკების მართვის საბჭოსთან, კატასტროფების რისკის შემცირების ე.წ. სენდაის პროგრამის საქართველოში განხორციელების მიმართულებით.

**— რა პრევენციული ზომების მიღებაა საჭირო, რათა შემცირდეს ან შერბილდეს კატასტროფების რისკი, ან თავიდან იქნეს აცილებული ბუნებრივი კატასტროფები?**

სახელმწიფო პროგრამაში ჩამოყალიბებულია საქართველოში კატასტროფების რისკის შემცირების სტრატეგია და სამოქმედო პროგრამა, მაგრამ როგორია ამ პროგრამის შესრულების ე.წ. „პლატფორმა,“ ანუ, პროგრამის შესრულების, ქვეყანაში არსებული ადამიანური, მატერიალური და ორგანიზაციული რესურსები?

ამ შეკითხვას უნდა უპასუხოს საქართველოს ხელისუფლებამ. ამ საკითხის ადეკვატურ შესწავლასა და ჩამოყალიბებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამის განხორციელების მიმართულებით. ამაზეა დამოკიდებული გაეროს შემდგომი გეგმებიც საქართველოსთან მიმართებაში, მათ შორის ფინანსური დახმარებაც.

აკადემია თავისი 9 განყოფილებისა და კომისიების თემატიკით, მთლიანად მოიცავს რისკების იმ ჩამონათვალს, რომელიც წარმოდგენილია 2017-2020 წლების სახელმწიფო პროგრამაში. გარდა ამისა, აკადემია ყოველწლიურად რეცენზირებას უკეთებს საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესრულებულ სამუშაოებს და იცის, რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს ქვეყანაში. ამიტომ, აკადემიას შეუძლია წამყვანი როლი შეასრულოს პროგრამის განხორციელების ამ ეროვნულ საქმეში, კერძოდ, შეაფასოს ქვეყანაში არსებულ საფრთხეებთან დაკავშირებული კატასტროფების რისკის შემცირებისა და პრევენციის განხორციელების შესაძლებლობები.

**— როგორ შეიძლება მომზადდეს მოსახლეობა კატასტროფების დასაძლევად და კონკრეტულად რა საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ჩვენს ქვეყანას?**

— სხვა საფრთხეებზე არ მინდა საუბარი, მაგრამ რაც შეეხება საქართველოში სეისმურ საფრთხეს, ამაზე ვალდებულიც კი ვარ, რომ ვილაპარაკო. მიწისძვრა ერთ-ერთი მრისხანე სტიქიური მოვლენაა, რომელიც ქვეყანას ემუქრება. XX საუკუნეში საქართველოში ორი 9-ბალიანი და რამდენიმე 8 და 7-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. 1991 წელს მომხდარი რაჭის მიწისძვრისას დაინგრა 25.000 შენობა და მატერიალურმა ზარალმა მილიარდს გადააჭარბა.

**— როგორ შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული გეგმის კოორდინაცია და მისი დანერგვა პრაქტიკაში?**

კატასტროფების რისკის შემცირების სტრატეგიის სახელმწიფო პროგრამაში, 2018 წლის ბოლოსთვის ყველა საფრთხეებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება პოზიცია. რაც შეეხება მიწისძვრებს, ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგნოზირებადი მიწისძვრისას, რასაც ქვეყნის სეისმოლოგები განახორციელებენ, როგორი იქნება მისი შედეგები, ან როგორია კატასტროფის შემცირების პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობები - ამის, . როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური და ორგანიზაციული თვალსაზრისით რესურსების ნაკლებობა საქართველოში ნამდვილად არსებობს. არადა, 2002 წელს „მოულოდნელად“ თბილისში მოხდა მიწისძვრა, 2009 წელს რაჭაში მცირე ნიწისძვრა, 2017 წელს უმნიშვნელო მიწისძვრები საქართველოს სამხრეთსა და დასავლეთში.

რა იქნება მომავალში არ ვიცი, მაგრამ, წარმოუდგენელია, რომ მიწისძვრების მოხდენის რეჟიმი მკვეთრად განსხვავებული იყოს XXI საუკუნეში.

**ესაუბრა**
**ნათია ვადაჭკორია,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური**

# გიორგი ჩოგოვაძემ ტურისტული სექტორის წარმომადგენლებს 2017 წელს დაგეგმილი პროექტები გააცნო

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ტურისტული სექტორის წარმომადგენლებს 2017 წელს დაგეგმილი პროექტები გააცნო.**

სასტუმროებისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გიორგი ჩოგოვაძემ მიმდინარე და დაგეგმილი მარკეტინგული კამპანიის შესახებ ისაუბრა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს ტურისტულიმიმართულების პოპულარიზაციის მიზნით ტარდება. შეხვედრაზე ტურიზმის სფეროში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს და პრობლემის გადაჭრის გზები განიხილეს.



# სიკვდილისთვის გამეტებული ვალერი გელაშვილი!



## სააპელაციო სასამართლომ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის საქმეში ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო

სააპელაციო სასამართლომ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის საქმეში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენი.

**„პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმისთვის თბილისის საქალაქო სასამართლომ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ქვეპუნქტით, 25,117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისთვის და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით, მასვე 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. ამავე განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ერეკლე კოდუა და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი უფროსი გია სირაძე. თითოეულს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. მათვე 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვათ თანამდებობის დაკავების უფლება.**

**სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 29 ივნისს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრის ვალერი გელაშვილის სტატია სათაურით „ვალერი გელაშვილი თავის სახლს სააკაშვილს დაუთმობს“. აღნიშნულ სტატიაში ვალერი გელაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოქმედი პრეზიდენტის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან შეურაცხმყოფელი ფორმით ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ.**

**სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა მოეხდინა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზეც ირაკლი ოქრუაშვილისგან მიიღო უარი. ამის გამო მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს ივანე მერაბიშვილს.**

**დავალების მიღების შემდეგ ივანე მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ერეკლე კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების ზედმიწევნით შესრულება, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 15 ივლისს. სოდის ოპერატიულმა თანამშრომლებმა და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ქ.თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას მოახდინეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება, რის შემდეგაც თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით, მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებით და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს ვალერი გელაშვილი, იარაღის კონდახებით სასტიკად სცემეს და გაიტაცეს ვალერი გელაშვილის კანონიერ მფლობელობაში არსებული „Heckler Koch“-ის მარკის ცეცხლსასროლი იარაღი, ფულადი თანხა — 10 000 აშშ დოლარი და 50 000 ლარად ღირებული ბეჭედი.**

**ცემის შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება“,** — ნათქვამიაპროკურატურის განცხადებაში.

# სოხუმი მარგველაშვილს ცილისწამებაში ადანაშაულებს

**აფხაზური დე ფაქტო საგარეო პოლიტიკური უწყება საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას ეხმიანება ქართველი სამართალდამცველების მიერ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან რადიოაქტიური მასალების შემოტანის მცდელობების აღკვეთის თაობაზე და გიორგი მარგველაშვილს ცილისწამებაში ადანაშაულებს.**



დე ფაქტო საგარეო პოლიტიკური უწყების კომენტარში აღნიშნულია, რომ „საზღვრისპირა საკითხების მთელი კომპლექსი, მათ შორის უსაფრთხოების საკითხები 2009 წელს შექმნილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრებზე განიხილება, რომელიც 2012 წელს შეწყდა, შემდგომ 2016 წელს აღდგა და იმ დროიდან დღემდე ქართულ მხარეს არასოდეს დაუყენებია მსგავსი „ფაქტები“.

**„მსგავსი ინფორმაცია არც საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებშია ნახსენები. კერძოდ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორების მიერ ჩატარებული შემოწმებების დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე არანაირი რადიოაქტიური მასალები არ აღმოუჩენიათ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ამ განცხადებას დაუფარავ სიცრუედ განიხილავს, რომელიც აფხაზეთის ნეგატიური იმიჯის შექმნასა და მისი ხელისუფლების დისკრედიტაციაზეა მიმართული. საქართველოს ხელისუფალთათვის დიდი ხანია, ნორმად იქცა მსგავსი უპასუხისმგებლო, პროვოკაციული განცხადებების კეთება, რომელიც, უპირველესად, თავად მათ დისკრედიტაციას ახდენს“** — ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზური მხარე გეგმავს, „საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან ამ ცილისმწამებლური გამოხდომის ფაქტი“ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში მარტის დასაწყისისთვის დაგეგმილ მორიგ რაუნდზე განიხილოს.

**ცნობისთვის: 21 თებერვალს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ სტუმრობისას პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო „საზღვრების კონტროლის თვალსაზრისით ყველაზე მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სამწუხაროდ, გარკვეული სირთულეებია“.**

# სამთვიანი საშვები ახალგორელთათვის



**ახალგორის ოკუპირებულ რაიონში, ადგილობრივთა ინფორმაციით, შემცირებული ვადის საშვების გაცემა დაიწყო. ადგილობრივთა მიერ წელს აღებული ყველა საშვის ვადა 3 თვეა — მარტის ბოლომდე.**

ცნობისთვის: საშვი ახალგორის რაიონში ბინადრობის მოწმობის ანალოგს წარმოადგენს. ამ საბუთით, ოსურ პასპორტთან ერთად, გამარტივებული გაშვების პუნქტებზე მდგომი რუსი მესაზღვრეები მოქალაქეებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ატარებენ და უკან აბრუნებენ.

ადგილობრივი დე ფაქტო კანონმდებლობის თანახმად, ოსური პასპორტის აღებისას საშვის ჩაბარება სავალდებულოა. ახალ წლამდე ეს საბუთი სამწლიანი ვადით გაიცემოდა, იშვიათ შემთხვევებში — ერთწლიანით. რა გახდა ამჟამად ვადის 3 თვემდე შემცირების მიზეზი, ჯერჯერობით ოფიციალურად არავის განუმარტავს. მოსახლეობის ვარაუდით, დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნებამდე დაგეგმილია მასშტაბური პასპორტიზაცია. აღსანიშნავია, რომ 2012 წლამდე ოსური პასპორტის აღება პრობლემას არ წარმოადგენდა. მეტიც, რაიონის დე ფაქტო ხელმძღვანელობა ხვეწნის რეჟიმში აიძულებდა ადგილობრივებს დე ფაქტო მოქალაქეობის მიღებას, თუმცა უმრავლესობა ამ ანგაჟემენტებზე უარს ამბობდა: ერთი მხრივ, ქართული სამსახურების მხრიდან რეაგირების ეშინოდათ, მეორე მხრივ კი, საქმე რისკად არ უღირდათ კაპიკიანი ოსური პენსიის გამო. შემდგომში ვითარება ერთბაშად ორი მიმართულებით შეიცვალა: ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ქართულმა სამსახურებმა, ასე ვთქვათ, მოღალატეების გამოვლენისადმი ინტერესი დაკარგეს. მეორე მხრივ კი, მოსკოვმა ოსური პენსიები რუსულის ოდენობამდე გაზარდა. ამავდროულად, პასპორტის აღებაც ბევრად გართულდა.

# ვიზალიბერალიზაციის და უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის ხელმოწერის ცერემონია პირველ მარტს გაიმართება

**რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტის რიკარდ იოზვიაკის ინფორმაციით, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის და უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის ხელმოწერის ცერემონია 1 მარტს გაიმართება.**

ევროპარლამენტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას 2 თებერვალს გამართულ პლენარულ სხდომაზე დაუჭირა მხარი. შემდგომი პროცედურის თანახმად, განახლებულ რეგულაციას დაამტკიცებს ევროკავშირის საბჭო. ევროპარლამენტის პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ ცვლილებების ფორმალური ხელმოწერის შემდეგ კი, რეგულაცია გამოქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში. საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებული განახლებული რეგულაციის ძალაში შესვლასთან ერთად ამოქმედდება, რასაც ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების შემდეგ 20 დღე სჭირდება.



# მიუნხენის კონფერენცია და ჩვენი პრობლემები

**ნებისმიერი ადამიანი, ვისთვისაც ომისა და მშვიდობის საკითხები მნიშვნელოვანია, ყურადღებას მიაქცევდა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციას, რომელიც ყოველი წლის თებერვალში იმართება და რომელშიც ევროპისა და მსოფლიოს მაღალი რანგის პოლიტიკოსები და ექსპერტები იღებენ მონაწილეობას. წლევანდელ შეხვედრაში მონაწილეთა რიცხვი ორმოცს აღემატებოდა. მათ შორის იყვნენ პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები.**

**სამწუხაროდ, წელს მიუნხენის კონფერენციაში არ მონაწილეობდა ორი მთავარი პოლიტიკური ლიდერი — ამერიკელი ტრამპი და რუსი პუტინი. არადა, ამ ფორუმზე ორივეს გამოჩენა განსაკუთრებულ ელფერს შესძენდა ერთობ მნიშვნელოვან ღონისძიებას.**

ღონისძიების ფორმატიდან გამომდინარე უსაფრთხოების კონფერენციაში მონაწილეთა და სიტყვით გამომსვლელთა ვინაობა საზოგადოებისთვის რამდენიმე თვით ადრე ხდება ცნობილი. ამდენად, ამერიკელი ტრამპის მიუნხენში ჩასვლას არც არავინ ელოდა. რაც შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ტრამპის საგარეო პოლიტიკური კურსი ჯერაც არ ჩამოყალიბებულა. ეს კი გასაკვირი არ არის, რადგან ჯერ იმ გუნდის ფორმირებაც არ დასრულებულა, რომელმაც საგარეო კურსის პარამეტრები უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს. ასე რომ, მიუნხენში ტრამპს არ ელოდნენ. ელოდნენ ვიცე-პრეზიდენტ პენს და სახელმწიფო მდივან ტილერსონს.

წლევანდელი მიუნხენი განსაკუთრებული იყო, ვინაიდან 2017 წლის თებერვალს ნატო, ევროკავშირი და ლიბერალური მსოფლიო პოლიტიკა ერთობ შეშფოთებული შეხვდნენ. მიზეზი? აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ტრამპი და მისი კრიტიკული დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირისადმი. წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტობისთვის მებრძოლი კანდიდატის ტრამპის ანტინატოური და ანტიევროკავშირული განცხადებები ევროპისთვის არა მარტო შეშფოთების, არამედ წუხილის საბაბიც იყო. ლიდერის გარეშე დარჩენილი ევროპა ისე დაიბნა, რომ აღარც მოჭარბებული ლტოლვილობა ანაღვლებდა და აღარც ეკონომიკური ჩავარდნები.

ევროკავშირის გლობალურად ლიბერალურმა პოლიტიკამ, მოსალოდნელი შედეგი რომ ვერ გამოიღო, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ ინგლისის გასვლამ ევროკავშირიდან საფუძველი შეურყია ამ ორგანიზაციას და ევროსკეპტიკოსთა წისქვილზე დაასხა წყალი. უახლოეს პერიოდში ევროკავშირში შემავალ ორ ლიდერ ქვეყანაში — საფრანგეთსა და გერმანიაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია. საფრანგეთში თუ ულტრამემარჯვენე მარინ ლე პენი გაიმარჯვებს — ევროკავშირს სიკეთე არ ელოდება, რადგან ეს უკანასკნელი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ჩაატარებს რეფერენდუმს საფრანგეთის ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხთან დაკავშირებით..

გერმანიის არჩევნების შედეგების პროგნოზირება ცალსახად რთულია. კანცლერი მერკელი ამ არჩევნებს დაბალი რეიტინგით შეხვდება, რაც მის გამარჯვებას ეჭვქვეშ აყენებს. ევროპისთვის ასევე წამყვან პრობლემად რჩება მაჰმადიანური ქვეყნებიდან წამოსული ლტოლვილთა მოჭარბებული ნაკადი. მათი რაოდენობა ასეულ ათასებს აჭარბებს, რაც უდიდეს პრობლემებს უქმნის ევროპელთა მშვიდ, გამოზომილ ცხოვრებას.

ამ და სხვა პრობლემებით შეხვდა წლევანდელი მიუნხენი უსაფრთხოების კონფერენციას და რა გასაკვირია, რომ დაბნეული, ლამის უპატრონოდ (უამერიკოდ), დარჩენილი ევროპისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რას იტყოდნენ ტრამპის ემისრები. მათაც არ დააყოვნეს, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა პენსმა განაცხადა: **„დღეს, ხვალ და ყოველდღე გჯეროდეთ, რომ აშშ იქნება ევროპის ყველაზე დიდი მეგობარი და მოკავშირე...“.**

არანაკლებ დამაიმედებელი იყო აშშ-ის თავდაცვის მდივნის ჯეიმს მეტისის განცხადებაც, რომელიც მან მიუნხენამდე, ნატოს თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრის დროს გააკეთა. მეტისის ნათქვამიდან გამომდინარე, აშშ-ის ადმინისტრაცია არ არის ნატოს წინააღმდეგი და მზად არის ითანამშრომლოს უწინდებურად, მაგრამ, თუ ნატოს წევრი ქვეყნები არ გაზრდიან თავდაცვის ხარჯებს, ვაშინგტონი შეამცირებს თავის როლს ნატოში.

**„ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს არ შეუძლიათ განუსაზღვრელად მიიღონ მონაწილეობა დასავლური ღირებულებების დაცვის საქმეში. ამერიკელები აღარ იზრუნებენ თქვენი შვილების უსაფრთხოების დასაცავად. (...) თუ თქვენს ქვეყნებს არ სურთ, რომ ამერიკამ შეზღუდოს თავისი როლი ამ ალიანსში, თითოეულმა თქვენგანმა მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენს საერთო თავდაცვას“,** — თქვა მან.

**ერთი კეთილსინდისიერი, გამოცდილი, უშიშარი, სამშობლოსა და ხალხის მოყვარული მეურნე ხელმძღვანელის ხელია საჭირო აღნიშნულის მოსაგვარებლად, ურომლისოდაც ნამდვილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. ფაქტია — არც ასეთი მეურნე ჩანს და არც არსებული საკითხების მოგვარების სურვილი.**




შეთანხმების თანახმად, ნატოს თითოეულმა წევრმა ქვეყანამ, საკუთარი ეროვნული პროდუქციის 2% უნდა გამოჰყოს ნატოს საერთო ბიუჯეტისთვის, რასაც ისინი არ აკეთებენ. შედეგად კი, ტრანსატლანტიკური ალიანსის ხარჯებს მხოლოდ ინგლისი, პოლონეთი, ესტონეთი, გერმანია და აშშ ფარავს. მათ შორის კი, ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი — 67%-ია, იმ დროს, როცა ქვეყნის საგარეო ვალი 20 ტრილიონი დოლარია.

მიუნხენის შეხვედრის მთავარი თემებიდან ტერორიზმი, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობა და რუსეთთან დამოკიდებულება იყო. სამწუხაროდ, საქართველოს პრობლემები — აფხაზეთი და სამაჩაბლო არავის გახსენებია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩვენს სამთავრობო დელეგაციას მიუნხენში ვიზიტი ძალიან „წარმატებულად“ მიაჩნია, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი შეხვდნენ ავღანეთის პრეზიდენტს.

**კონფერენციის მსვლელობის დროს, როგორც აღვნიშნე, რუსეთთან ურთიერთობამ არაერთხელ გაიჟღერა, ცხადია, ნეგატიურ კონტექსტში. რუსეთი კვლავ დაადანაშაულეს დონბასში განვითარებული მოვლენების, ყირიმის მიტაცების გამო და აღნიშნეს, რომ თუ რუსეთი არ შეასრულებს „მინსკის“ ხელშეკრულების მოთხოვნებს, სანქციები გაგრძელდება. სანქციების გაგრძელება მოსალოდნელია მაშინაც, თუ რუსეთი ყირიმს არ დაუბრუნებს უკრაინას და ა.შ.**

კრიტიკას საფუძვლიანი პასუხი გასცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მისი აზრით, თუ ვინმეს მისამართით შეიძლება კრიტიკის თქმა ეს ვაშინგტონი და ბრიუსელია, ამის დასტურად მინისტრმა მაგალითებიც მოიყვანა. ლავროვის გამოსვლა და დასმულ კითხვებზე პასუხები დამაჯერებლად ჟღერდა.

**კონფერენციამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა, უპირველესად აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან მიმართებაში. რა სურს მას — ძველებური ურთიერთობა ნატოსა და ევროკავშირთან, თუ ისეთი ცვლილება, რის შესახებაც პრეზიდენტი ტრამპი ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს აცხადებდა. ყოველივე ეს, თვალნათლივ მეტყველებს ევროკავშირსა და ნატოში მიმდინარე პროცესების სიმწვავეზე, გაურკვევლობაზე და, ამასთანავე, გლობალიზაციის დასასრულის დასაწყისზე. ამის ფონზე კი, საქართველოს ხელისუფალთა ჯიუტი განცხადებები ნატო-ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით ცალსახად უპასუხისმგებლოა, რამეთუ მათმა პოზიციამ და დეზინფორმაციამ შესაძლოა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ილუზიური მოლოდინები აღძრას.**

* * *

პრობლემური საკითხები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს — ზღვაა, უფრო სწორედ ოკეანეა. მათთან გამკლავება, არამც თუ დღევანდელმა გამოუცდელმა ხელისუფლებამ, არამედ, შესაძლოა, მომავალმა ხელისუფლებებმაც ვერ შეძლონ. თუმცა, რიგ საკითხთა მოგვარება არ მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და კაპიტალდაბანდებას. ამ შედარებით ნაკლებად საკამათო თემების მოგვარებით კი მმართველ პარტიას შეეძლო დადებითი ქულები დაეწერა მოსახლეობის თვალში და ავტორიტეტი აემაღლებინა. ამ გზით იქნებ მოეხერხებინათ და ხალხი ცოტათი მაინც დაერწმუნებინათ, რომ ხელისუფლება მათი პრობლემებით ინტერესდება.

**ერთ-ერთი ამ საკითხთაგანი არის პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა. არ მოვყვები იმის მტკიცებას თუ რატომ არის ეს აუცილებელი. ვიტყვი მთავარს — სახელმწიფოს ბიუჯეტიდან უაზროდ გაფლანგული ხარჯებისთვის წერტილის დასასმელად**. ეს საკითხი ახალი პარლამენტის პირველსავე სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, ისევე, როგორც პრემიებისა და ხელფასებზე დანამატების არგაცემის საკითხი. სამწუხაროდ, პარლამენტმა არც ერთი არ გააკეთა. პირველი, კონსტიტუციურ საკითხთა შორის მოაქცია და როდის გადაწყვეტს, ღმერთმა უწყის. მეორე კი, ისევ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა — მისცა რა საკუთარ თავს 600 000-ლარიანი პრემია „კარგი“ მუშაობისთვის. მაინც რა გააკეთა ასეთი ორი თვის განმავლობაში?! მაშინ, როცა ქვეყნისათვის დამღუპველი, მიწების უცხოელებზე გასხვისებისა და დედაქალაქის ცენტრში მუსულმანთათვის ბორდელების აღვირახსნილი ფუნქციონირების საკითხი არ გადაწყვიტა.

ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, თავი დაიყრუა და მეხუთე წელია, არაფრად აგდებს ხალხის მოთხოვნას - დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნების თაობაზე; ველოსიპედის ძეგლის თუ რიყეზე გაჩხერილი ხუროთმოძღვრული „შედევრების“ კონუსური ორი ლითონის „მილის“ აღებაზე და სხვა. ნარმანიამ ბრძანა — „მილებს“ ვერ ავიღებთ, ძვირი დაგვიჯდებაო. მაშინ დაასრულონ და გონივრული ფუნქცია მაინც შესძინონ მას!

ასევე მოუგვარებელ პრობლემად რჩება მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობის საკითხი. შარდის სუნით აყროლებული, ნაგვის ბუნკერად ქცეული გადასასვლელები ნამდვილი ანტისანიტარიის კერაა.

მე, როგორც მშენებელი, აღშფოთებული ვარ თბილისში მიმდინარე უთავბოლო ბინათმშენებლობით, ტროტუარებზე აშენებული სუპერმარკეტებით. არანაკლებ საგანგაშოა ვარაზის ხევის გასწვრივ რესტორნების გახსნა, მწვანე ნარგავების გაჩეხვის ხარჯზე. ეს ყველაფერი განუკითხაობის და ვიღაცების ყოვლისშემძლეობის ბრალია.

ეს წერილი სპეციალურად მიუნხენის კონფერენციით დავიწყე, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა და მინდოდა ევროპისა და მსოფლიოს წინაშე არსებული პრობლემების მკითხველისთვის გაცნობა. რამდენად გამომივიდა, თქვენ განსაჯეთ, მე კი პარალელს გავავლებ მიუნხენის სულისკვეთებასა და საქართველოში არსებულ აზროვნებას შორის. ვგრძნობ, რომ ევროპელობამდე ბევრი გვიკლია და ამ ნაპრალს ვიზალიბერალიზაცია ვერ ამოავსებს.

სხვაგვარი აზროვნებაა საჭირო, მასშტაბური, შორსმჭვრეტელი და არა ასეთი, რაც ჩვენშია — უაზრო თემებზე ყურადღების გამახვილების გზით. **„ის, რაც ხდება სატელევიზიო სივრცეში, ყოვლად მიუღებელი, სახიფათო და ამაზრზენია“,** — აღნიშნავდა პუბლიკაციაში ნუგზარ ფოფხაძე და განა ასე არ არის?!

საეთერო სივრცე გადაჭედილია მდარე ხარისხის შეურაცხმყოფელი შოუებითა და „საპნის ოპერებით“. ასევე ხშირია სხვადასხვა თემების ტენდენციური გაშუქება. ჯერ იყო და „გაზპრომთან“ დადებული ხელშეკრულებითა და მოსმენების საკითხით გამოგვილაყეს ტვინი, ახლა „ციანიდის საქმე“ და საპატრიარქოს შიგნით მიმდინარე მოვლენები მოექცა ყურადღების ცენტრში. ცხოვრება კი მიდის, შეუჩერებლად. ასე განვლო დამოუკიდებლად არსებობის 25 წელიწადმა, სულ ყურით მოთრეულ თემებზე ჭორაობაში.

მაშინ როცა უზენაესმა სასამართლომ დანაშაულებრივად გააჭიანურა და დღემდე ვერ გადაწყვიტა ბოროტი, ცილისმწამებელი და ანტისახელმწიფოებრივი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნების საკითხი.

**მოდით, ვიყოთ გულახდილები და დავსვათ კითხვა — არის კი ევროკავშირში ადგილი ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც ზემოთ მოყვანილი პრიმიტიული საკითხები ვერ გადაუწყვეტია?! ღირსია, ის გახდეს ევროკავშირის წევრი?!**

მკითხველი მკითხავს — გვიშვებენ ევროკავშირში ან ნატოშიო? საქმეც ის არის, რომ არ გვიშვებენ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ისე გველაპარაკება, თითქოს გვიშვებენ და ამ მოლოდინში გვამყოფებენ უკვე რა ხანია. დავუშვათ, შეგვიშვეს. განა ევროპა მოგვიგვარებს იმ მარტივ პრობლემებს, ჩვენ რომ ასე დიდად მიგვაჩნია?!

ერთი კეთილსინდისიერი, გამოცდილი, უშიშარი, სამშობლოსა და ხალხის მოყვარული მეურნე ხელმძღვანელის ხელია საჭირო აღნიშნულის მოსაგვარებლად, ურომლისოდაც ნამდვილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. ფაქტია — არც ასეთი მეურნე ჩანს და არც არსებული საკითხების მოგვარების სურვილი... ჰოდა, ვიქნებით ასე, უაზრო ლაყბობასა და ჭორიკნობაში კიდევ 25 წელი, თუ მეტი არა!



**ომარ მარგველაშვილი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №262

*წარმოშობით რუმინელი რელიგიათმცოდნე მირჩა ელიადე თავის ნაშრომში „მიწიერი და წმინდა“ განიხილავს რელიგიური და არარელიგიური ადამიანის მიმართებას სიცოცხლის საზრისისადმი.*

*რელიგიური ადამიანი ცდილობს, ქაოსურ სივრცეში გამოარჩიოს მისთვის წმინდა ადგილი, საიდანაც ის შეძლებს სამყაროს ცენტრში დადგომას და შეეცდება ღვთაებრივთან, ღმერთთან პირისპირ ყოფნას. ამის შემდეგ ის ახალ სინამდვილეში, წმინდა სივრცეში არსებობს, ხოლო მატერიალური სამყარო მისთვის არაარსებითი, პროფანული ხდება.*

# მირჩა ელიადეს საუკუნის ნააზრევი

# ღმერთთან და უღმერთოდ...

საკრალურის პირველ განმარტებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რაც მიწიერს უპირისპირდება.

მირჩა ელიადე გერმანელი რელიგიათმოცოდნის რუდოლფ ოტოს წიგნიდან „წმინდა“ („Das Heilige“) ერთ „ორიგინალურ“ მოსაზრებასაც გამოარჩევს, სადაც ოტო ცდილობს ღვთაებრივის ირაციონალური მხარეები აღწეროს: „ეს არაა რაღაც აბსტრაქტული იდეა, ან მორალური ალეგორია, არამედ ესაა საშინელი ძალა, რაც ღმერთის მრისხანებაში ვლინდება.“ ოტოს აღმოჩენით წმინდათაწმინდა, რაც განუზომლად აღმატებულია ყველაფერზე, ძრწოლვის განცდას იწვევს ადამიანში. ის შენიშნავს ასეთი მისტიკური სასწაულისგან გამოწვეულ რელიგიურ შიშს... ღვთებრივი ცალკეა, როგორც რაღაც „სულ სხვა“ („ganz andere“).

ადამიანისთვის წმინდანური საცნაური ხდება სწორედაც იმიტომ, რომ ის ვლინდება როგორც მიწიერისგან სრულიად განსხვავებული, უჩვეულო. მიწიერ სივრცეში ადამიანისთვის სიწმინდის გაცხადებას **იეროფანია** ეწოდება. წმინდა ქვას ან წმინდა ხეს პატივს მიაგებენ თუ ისინი იეროფანიას წარმოადგენენ, ამდენად „გამოხატავენ“ რაღაც სულ სხვას, საკრალურ სხვას, ვიდრე უბრალოდ ქვას ან ხეს.

ელიადეს მიხედვით, ჩვენ ბოლომდე ვერასდროს გავაცნობიერებთ თუნდაც ყველაზე მარტივი იეროფანიის პარადოქსულობას. სიწმინდის გამოვლინებით ესა თუ ის ობიექტი გადაიქცევა „რაღაც სხვად“, ინარჩუნებს რა იმავდროულად თავის პირველად, მატერიალურ არსს.

ამრიგად, ადამიანისთვის მთელი ბუნება ვლინდება, როგორც კოსმიური, წმინდა სივრცე. კოსმოსი კი, მთელი თავისი სისავსით, წარმოდგება როგორც იეროფანია.

„პრიმიტიული“, უძველესი თემებისთვის, წმინდანური იმავდროულად ძლევამოსილებასაც ნიშნავდა. ასეთი „წმიდანური ძლევამოსილება“ ერთდროულად რეალობაცაა და განსაკუთრებული ზემოქმედების ეფექტის მქონეც.

წმიდათაწმიდა სივრცის დაარსებით მჟღავნდება ერთგვარი „ათვლის წერტილი“, საიდანაც ხერხდება ერთფეროვან, ქაოტურ სივრცეში ორიენტირება, ახალი „სამყაროს შექმნა“ და მასში რეალურად ცხოვრება.

რელიგიური ადამიანისთვის წმინდა სივრცის ორგანიზება სიმბოლურ გამოხატვას ჰპოვებს. ეკლესიაში შემავალი კარი გარე სამყაროსთან წყვეტაა. ორი სივრცის გამყოფი ზღურბლი ცხოვრების ორი წესის, მიწიერის და რელიგიურის, დისტანცირებაზე მიუთითებს. ეს ბარიერი ერთი მხრივ ყოფს და აპირისპირებს ამ ორ სამყაროს, მაგრამ მეორე მხრივ, პარადოქსულად აკავშირებს მათ ერთმანეთთან, შესაძლებელს ხდის მიწიერის გადასვლას წმინდანურში.

ტაძარი „გახსნილი გზაა“, ზეცისკენ მიმართული, რომლითაც ხდება დაკავშირება სამყაროს ღვთაებებთან.

ანალოგიური რიტუალური ფუნქცია ვრცელდება ადამიანის საცხოვრისზეც. ზღურბლი და კარი კონკრეტულად მიუთითებენ სამყაროს ორად გაჭრაზე...

თუ ძველ დროში რელიგიურ ადამიანებს საკრალური სივრცის დაარსებისთვის ბუნებისგან ნიშნები არ ეძლეოდათ, მაშინ ადამიანები თვითონ იწვევდნენ ამგვარ ნიშნებს. უშვებდნენ ცხოველებს ტყეში, შემდეგ ეძებდნენ მათ და ხელახლა პოვნის ადგილზე მსხვერპლად შესწირავდნენ ღმერთს. ამიერიდან მსხვერპლშეწირვის ადგილი საკრალური ხდებოდა, აგებდნენ სალოცავებს და სახლდებოდნენ ახლო მანძილზე.

ამდენად, ადამიანი არც ერთ შემთხვევაში არ იყო თავისუფალი საკრალური სივრცის თვითნებურ არჩევაში. მას უნდა მოეძია და ეპოვნა ასეთი ადგილი საიდუმლო მინიშნებების დახმარებით.

მირჩა ელიადე: „წმიდათაწმიდა – ესაა რეალურობის სრულყოფილება. ესაა ერთდროულად ძლევამოსილება, მოქმედება და სიცოცხლის სათავე. სინამდვილეში, რელიგიური ადამიანის სურვილი, იცხოვროს სიწმინდეში უტოლდება მის მისწრაფებას, აღმოჩნდეს ობიექტურ რეალობაში... იცხოვროს ნამდვილ რეალობაში და არა ილუზორულ სამყაროში.“

ელიადე ძველი ავსტრალიელი ტომების, შუამდინარეთის ხალხების და სხვა უძველეს კულტურებში საკრალური სივრცის მოწყობისთვის „ტექნიკური ხერხების“ ანალოგიებსაც აღწერს. ერთ-ერთი ასეთი რიტუალური დანიშნულების და, იმავდროულად, სალოცავების მოწყობის ტექნიკური საშუალება იყო ძელი. ზოგ შემთხვევაში ძელი ტაძრის სრული კონსტრუქციის აგების გარეშეც გამოიყენებოდა სალოცავად. შეიძლებოდა მისი ზურგით ტარება და თაყვანისცემა. მტრის მიერ ძელის შებღალვა კი სიკვდილის ტოლფასი იყო. აღსანიშნავია, რომ ძელის სიმბოლიკა მცხეთაში, ქართულ სინამდვილეში ყველაზე საკრალური ტაძრის, სვეტიცხოვლის აგებასაც უკავშრდება.

რელიგიური ადამიანი აფუძნებს რა საკრალურ სივრცეს, იმეორებს ღვთაებრივი შემოქმედების აქტს – ახალი სამყაროს შექმნას.

თხზულების მეორე ნაწილის ქვესათაურია „წმინდა დრო და მითები“.

მირჩა ელიადე თავიდანვე ხაზს უსვამს რელიგიური ადამიანისთვის დროის და სივრცის რიტუალურ-სიმბოლური მოწყობის პარალელიზაციას: „ზუსტად ისე, როგორც სივრცე, დრო, რელიგიური ადამიანისთვის, არაერთგვაროვანია... არსებობს წმიდათაწმიდა დროის პერიოდები, მაგ. დღესასწაულები. მეორე მხრივ, არსებობს სხვა დრო, ე.წ. მიწიერი დრო, რომელშიც მოვლენები დროის ჩვეული დინებით ლაგდებიან და მათ რელიგიური მნიშნელობა არ გააჩნიათ... რიტუალების მეშვეობით კი, რელიგიურ ადამიანს შეუძლია ჩვეულებრივი დროიდან საკრალურ დროში გადაინაცვლოს.“



საკრალური დრო შექცევადია, რადგან ის პირველადი, მითიური დროის გამოვლინებაა. ის მუდამ იმეორებს დასაბამიერი დროის არსს, რომელსაც ხელახლა გარდაქმნის, დღევანდელობაში თავიდან აწარმოებს. საეკლესიო დღესასწაულები და რიტუალები სწორედ ამ დასაბამიერი წმიდათაწმინდა მოვლენების გადმოტანას ახერხებენ ყოველ მიმდინარე დროში. რელიგიური ადამიანის მონაწილეობა ამ სადღესასწაულო რიტუალებში ნიშნავს მის გასვლას ჩვეულებრივი დროიდან, რათა დაუბრუნდეს მითიურ დროს და სინამდვილეს. რელიგიისა და მითოსის გადასახედიდან დრო არ იცვლება. არსებობს მხოლოდ დასაბამიერი დრო.

დროისა და სივრცის ორგანიზება რელიგიური და არარელიგიური ადამიანისთვის სხვადასხვანირად ხდება. რელიგიური ადამიანისთვის დრო და სივრცე რელიეფურია, არარელიგიურისთვის კი ერთგვაროვანი. ერთი შეხედვით, არარელიგიური ადამიანი სივრცესა და დროში არ გამოარჩევს განსაკუთრებულ ადგილებს და თარიღებს რელიგიური სიწმინდის კრიტერიუმით, რადგან ის არ ეძებს ღვთაებრივს, თუმცა მისი სუბიექტური განცდები მაინც ანიჭებენ ამა თუ იმ თარიღს ან სივრცეს გამორჩეულ, აღმატებულ მნიშვნელობას. ასეთი განცდები შეიძლება, გამოწვეული იყოს მისი პირადი თავგადასავლებით: ადგილი, სადაც ის პირველად მოხვდა უცხო ქალაქში, ქორწინების თარიღი და ადგილი, შვილის დაბადება და ა.შ.

ამდენად, არარელიგიური ადამიანი, ცნობიერად გაურბის რა ღვთაებრივს, მაინც იძულებული ხდება, დრო და სივრცე იერარქიულად დაანაწილოს და გარკვეულწილად რიტუალური მნიშვნელობაც მიანიჭოს.

პოლიტიკური მითებიდან ამ მხრივ აღსანიშნავია ბოლშევიკური ათეიზმი. ბოლშევიკები ღია აგრესიით ებრძოდნენ რელიგიას, მითოსს, იერარქიულობას, საკრალურს, მაგრამ, იმავდროულად, თვითონვე აწესებდნენ ახალ, მათთვის ღირებულ „საკრალურ თარიღებს“ (7 ნოემბერი, 1 მაისი, 9 მაისი), აარსებდნენ მათთვის მნიშვნელოვან ახალ „საკრალურ სივრცეებს“ (ლენინის მავზოლეუმი, უცნობი ჯარისკაცის საფლავი).

ამდენად, დროისა და სივრცის სრული ერთგვაროვნება არარელიგიური ადამიანისთვისაც მიუღებელია. იერარქიის გარეშე დრო და სივრცე მკვდარია. იერარქიულობა აყალიბებს არსებობის ორიენტირებს, ფასეულობათა სისტემას, რისი მეშვეობითაც ადამიანი მოქმედებს, რითაც მას შეუძლება იქცეს მოაზროვნე სუბიექტად, თავი დააღწიოს უსახურ ქაოსს და დაარსოს ახალ სამყარო, თავისი პირადი კოსმოსი.

მესამე ნაწილში, სათაურით „ბუნების სიწმინდე და კოსმიური რელიგია“, ავტორი ეხება ბუნებაში შეფარულ სიწმინდის მრავალსახოვან გამოვლინებებს, რომელთა აღმოჩენა რელიგიურ ადამიანს ძალუძს. „სამყაროში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ქაოსი, ან აღმოვაჩინოთ კოსმოსი. ზეცა ღვთაებრივთან მისაახლებელ გზას გვიხსნის, მიწა კი სიცოცხლის მომნიჭებელი დედაა. კოსმოსური რიტმები ქმნიან წესრიგს და ჰარმონიას... კოსმოსი მთელი თავისი სისავსით ნამდვილად ცოცხალი, წმინდა ორგანიზმია.“ – მირჩა ელიადე.

რელიგიურ ადამიანს ძალუძს ცხოვრების ჩვეულებრივი ასპექტებით შეიცნოს ზებუნებრივი. ზეცა თავისი მიუწვდომლობით და უსაზღვროობით ხსნის ადამიანის ჭვრეტას მიღმიერისკენ, მარადიულისკენ. ელიადეს მიხედვით, შესაძლოა, ღმერთები თვით სამყაროს სტრუქტურის მეშვეობით ახდენენ სიწმინდის მრავალსახეობის დემონსტრირებას. კოსმოსი თავისი არსით ახდენს რელიგიური, ღვთაებრივი აღქმის სტიმულირებას. ამიტომაც ძველი ადამიანების ღმერთების სახელები სიმაღლეს აღნიშნავდნენ, ან იწოდებოდნენ „ცის მპყრობელებად“, „ზეცაში მაცხოვრებლებად.“

კაცობრიობის რელიგიურ ისტორიაში უმაღლეს არსებათა სტრუქტურას უპირველესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ სტრუქტურაში იერარქიულად ყველაზე მაღლა მდგომნი სხვადასხვა კულტში თანდათან ქრებიან. ისინი „შორდებიან“ ადამიანებს და ხდებიან deo otiosi („საქმეებისგან დასვენებული ღმერთები“). თითქოს სამყაროს შექმნისგან დაღლილი ღმერთი მიწაზე ტოვებს თავის ძეს, თვითონ კი ზეცას ეფარება. თანდათან უმაღლესი ღვთაების ადგილი ივსება მითიური წინაპრების ხატებით, სხვადასხვა წმიდანებით, ღვთისმშობლით...

მსგავსი წარმოდგენები ძველი ხალხების რელიგიებში ხშირად გვხვდება, მათ შორის აფრიკულ ტომებში. „მთავარ ღმერთს“ ადამიანები იხსენებენ მხოლოდ დიდი გასაჭირის დროს. სხვა შემთხვევაში ან „მთავარი ღმერთი“ „ისვენებს“, ან თვით ადამიანებისთვის აღარაა აუცილებელი მისი მუდმივი მოხმობა, რადგან წმინდა სივრცე და დრო ისედაც გაჯერებულია სხვა წმინდანური, ღვთაებრივი არსებების რიტუალური პატივგებით.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტრადიციაშიც იშვიათად შენდებოდა სამების სახელობის ტაძარი, ხოლო ფრესკაზე თუ ხატებზე კიდევ უფრო იშვიათად გამოსახავდნენ მამა ღმერთს.

სიმბოლოების წყალობით სამყარო „გამჭვირვალე“ ხდება, რაც კიდევ მეტად მიგვაახლებს ყოვლადშემძლე ღმერთთან. ელიადე ასე განმარტავს წყლის სიმბოლიკას: „წყლები უნივერსალური შერწყმაა პოტენციურის და შესაძლებლის. ისინი ინახავენ არსებობის შესაძლებლობებს ყველა ქმნილებისთვის; ისინი წინ უსწრებენ ყველა ფორმას და წარმოადგენენ ყველა ფორმადქმნილის სათავეს... წყლის სიმბოლიკა თანაბრად გულისხმობს როგორც სიკვდილს, ასევე სიცოცხლეს, აღორძინებას.“



ნებისმიერ რელიგიურ სისტემაში წყლის საერთო ფუნქციაა ფორმის დაშლა, „ცოდვების ჩამორეცხვა“. წყლის ბედისწერული მნიშვნელობაა ფორმის შექმნისთვის წინსწრება და შექმნილის შთანთქმა...

მიწის სიმბოლიკა ქალს ესადაგება. შვილის შობა ადამიანურ ყოფაში მიწის ნაყოფიერების ვარიაციული გამოვლინებაა.

ადამიანების ქორწინება კოსმიურ იეროგამიად ფასდება: მამაკაცის – ზეცის და ქალის – მიწის შერწყმა.

**მეოთხე თავი: „ადამიანური არსებობა და ნათელღებული სიცოცხლე“**

მირჩა ელიადე აღნიშნავს, რომ დღევანდელ, სულ უფრო მეტად დესაკრალიზებულ საზოგადოებებში, ძველი ადამიანის რელიგიური ქცევა ექსცენტრიულად და მიუღებლად გამოიყურება. თუ თანამედროვე ადამიანმა ვერ მოახერხა მისგან უკვე გაუცხოვებულ სამყაროს გონში შეღწევა, მის ცენტრში დადგომა, მხოლოდ გარეგნული სწავლებებით, ერუდიციით ან ფორმალური რელიგიური პრაქტიციზმით, ვერ მიხვდება მისი წინაპრების, რელიგიური ადამიანების ნამდვილ ღირებულებებს. მაგრამ თუ ჩვენ მაინც მოვახერხებთ ამას, მივხვდებით, რომ სამყარო არსებობს მხოლოდ ღმერთების ნებით, რომ თვით ამ სამყაროს არსებობა ჩვენ „რაღაცას გვიყვება.“

„რელიგიური ადამიანისთვის კოსმოსი ცოცხლობს და მეტყველებს. თვით კოსმოსის არსებობა უკვე დასტურია მისი სიწმინდისა, რადგან ის შექმნილია ღმერთების მიერ და ღმერთები ეცხადებიან ადამიანებს კოსმიური ცხოვრების სახით.

სწორედ ამიტომ, ცივილიზაციის განვითარების რაღაც ეტაპიდან ადამიანი თავს მიკროკოსმოსად აცნობიერებს. ის ნაწილია ღმერთების მიერ შექმნილის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანი პოულობს თავის თავში იმ „წმინდა საწყისს“, რომელსაც ის კოსმოსს მიაწერს. მისი სიცოცხლე კოსმიური სიცოცხლის ანალოგიურია...

რელიგიური ადამიანი არასდროს რჩება მარტო, რადგან მასში ცოცხლობს სამყაროს ნაწილი.

სამყაროს მიმართ გახსნილობა შესაძლებლობას აძლევს რელიგიურ ადამიანს შეიცნოს თავი.“ – მირჩა ელიადე.

ივარაუდება, რომ ძველად ადამიანის ყველა ორგანოს, ყველა ფიზიოლოგიურ აქტს, ადამიანის ყველა ჟესტს რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა. თითქოს ღმერთებმა დანერგეს უნარ-ჩვევები – კვება, სიყვარული, მეტყველება, ჟესტები, რითაც თავდაპირველად თვითონ მოქმედებდნენ.

არარელიგიური ადამიანისთვის ყველა ეს ქმედება ვიწრო გაგებით ადამიანურია და მოკლებულია სიწმინდის განცდას.

ინდურ სამყაროში ქორწინების კავშირი უწინარესად ორი პრინციპის გაერთიანებაა: ბუნება-კოსმოსური ენერგიის და სულის. აქ საუბარია არა ფიზიოლოგიურ აქტზე, არამედ რაღაც მისტიკურ რიტუალზე. ხდება პარტნიორების „ახსნა“ ადამიანური შეზღუდულობიდან და ისინი თავისუფლდებიან, როგორც ღმერთები.

ადამიანის მიერ სიცოცხლის აღქმის კიდევ ერთ საინტერესო ინტერპრეტაციას იძლევა მირჩა ელიადე: „ცნობიერად ხვდება რა ადამიანი რაიმე მოცემულ ვითარებაში, რომელიც მისთვის გარკვეულწილად ბედისწერულადაა განპირობებული, ის, თავის ადამიანურ მასშტაბში, ერთვება ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებსა და რიტმებში, რომლებიც ახასიათებს და რითაც შედგება „ეს ცხოვრება“ და განაპირობებს სრულ სამყაროს.“

მოამზადა

**ზვიად მიქელაძე**

# მათი სამშობლო



საქართველოს პატრიარქის სტუმრობა პარიზის მართლმადიდებლურ ეკლესიაში 1980 წელს. მარჯვნივ – და-ძმა მია და გიორგი დადიანები, შუაში – პარიზის ქართული მრევლის მოძღვარი არჩილ დავრიშაშვილი.

ალბათ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მოულოდნელმა გარემოებებმა კიდევ ერთხელ გაგვაერთიანა ქართველები ჩვენი პატრიარქის გარშემო... ქართველები აქაც და იქაც... გერმანიაში, ჰელიოს ბერლინ ბუხ კლინიკის წინ, დღის და ღამის სხვადასხვა საათებში, იდგნენ უცხოეთში დროებით ჩასული ქართველები თუ ემიგრანტები გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან ...რამდენიმე წლის წინათ ჰამბურგში მცხოვრებ გოგონას, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება პირადად შეხვედროდა პატრიაქს, უთქვამს: –„უწმინდესო, თქვენ აქ ხართ ჩემი სამშობლო...“

**სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ქადაგებიდან :**

**„რა არის სამშობლო...ძალიან ხშირად ვფიქრობთ იმის შესახებ თუ რა არის სამშობლო ჩვენთვის. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის რაღაც გეოგრაფიული ნაწილი დედამიწისა. ეს უფრო მეტია. ეს არის ჩვენი რწმენა, წინაპრების მადლი.ეს არის ათასობით მოწამე, საქართველოს მეფეები, მღვდელმთავარნი, პატრიარქნი...ეს არის ჩვენი სული და ამიტომაა, რომ ქართველებს უჭირთ სამშობლოს გარეთ ყოფნა. ძნელია, გამოთქვა ჩვენი გრძნობა სამშობლოსადმი. თუ ვიტყვით,რომ ის გვიყვარს, ეს არაფრისმთქმელი ფრაზაა.არც დედამიწის გარკვეულ, გეოგრაფიულ სივრცედ მისი აღქმა ნიშნავს რამეს. ჩვენ სისხლხორცეული ნაწილი ვართ ჩვენი მამულისა, იგი საუნჯეა ჩვენი. ჭირს გარჩევა, ჩვენ ვცხოვრობთ მასში თუ ის ცოცხლობს ჩვენს გულში....“**

„კვირაძალის“ მკითხველს ერთი ხელნაწერის ფრაგმენტს ვთავაზობთ, ძველი, 1921 წლის პოლიტიკური ემიგრაციის ოჯახის წარმომადგენლის, საფრანგეთის ემიგრაციის ლიდერის, საზოგადოება „ქართლოსის“ დამფუძნებლის კოკი დადიანის ვაჟის გიორგი დადიანის წერილიდან, რომელიც საკუთარი მშობლების დარად გარდაიცვალა ისე, რომ სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო... წერილი 1980 წლითაა დათარიღებული. ადრესატი საქართველოში მცხოვრები უფროსი და ბაბო დადიანი გახლავთ.



პარიზი. 3. 4. 1980

**პარიზი, 3 აპრილი 1980 წელი**

**ძვირფასო და ძალიან, ძალიან საყვარელო ჩემო ბაბლი! შევეცდები, ყოველ კითხვაზე გიპასუხო. უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენო თუ რა აღტაცებაში ვიყავით უწმინდესის ჩამოსვლით პარიზში. ეს იყო ჩვენთვის უდიდესი სიამოვნება. დიდებულია იგი, როგორც საქართველოს პატრიარქი და როგორც უდაოდ გამორჩეული პიროვნება, რომელმაც გააშუქა აქაური ჩვენი საყდარი...სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ ამ მოკლე ხანში ყველაფერი შეგვესრულებინა, რისი ღირსიც იყო იგი და როგორც ეკადრებოდა... ჩვენს გულში კი დაგვიტოვა უდიდესი სიყვარული და დიდი პატივისცემა. იმედი მაქვს, იგრძნო ჩვენი ყველასი აღტაცება მის მიმართ.....წრფელი გულით მიძღვნილი „მცირედიც შეიწირების“...იშვიათი ადამიანი ბრძანდება. მისი სახელი უსათუოდ დარჩება, როგორც უწმინდესის, ბრწყინვალე კათოლიკოსის სახე ჩვენს ტაძარში...**

ერთი თვის წინათ პარიზის მართლმადიდებლურ ტაძარში გახლდით და განსაკუთრებული მღელვარებით ვუსმენდი მამა არჩილ დავრიშაშვილის ლოცვას ქართულ ენაზე. მოძღვარი უპირველესად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს იხსენიებდა.

გადის დრო...არ წყდება საქართველოდან ემიგრაციაში მიმავალთა ნაკადი...1990-იანი წლებიდან, სამოქალაქო ომის შემდეგ, მეორე პოლიტიკური ემიგრაცია გაემგზავრა ჩვენი სამშობლოდან... შემდეგ, თანდათანობით, მიდის ყველა, ვინც გაუსაძლის ყოფაშია და ისინიც, ვისაც საერთოდ, უკეთესი ცხოვრება სურს...მიდიან დროებით და რჩებიან უმეტესად სამუდამოდ...

7 იანვარს, როცა პატრიარქის კურთხევით, საქართველოში, ფანჯრის რაფებზე სანთლებს ვანთებთ, რათა შობის ღამეს მაცხოვარმა ჩვენს სახლებშიც შემოიხედოს, ასეთივე რიტუალს ატარებენ უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც....გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის თუ ამერიკის ღამეულ ქუჩებში თუ სახლების ფანჯრებში მოციმციმე, პატარა სანთლებს დაინახავთ, ესე იგი, იქ ქართველები ცხოვრობენ, რომლებსაც უყვართ და სჯერათ ჩვენი პატრიარქის... უწმინდესი მათ გამუდმებით სთხოვს შეძლებისდაგვარად დაბრუნდნენ სამშობლოში...

ისევ გიორგი დადიანის წერილიდან. პარიზი, 1980. **„...სხვა ჩემო ბაბლი, აქ ახალი არაფერია, ვბერდებით და აქაური ქართველები ნელ-ნელა, ლევილისკენ მივცუნცულობთ...იყავი კარგად...დამიკოცნე ყველა ჩვენი ნათესავი, მომიკითხე ყველა ჩვენი მოყვარე და ჩვენი ლამაზი სამშობლო...**



გიორგი დადიანი ახალგაზრდობაში და მისი ამერიკელი მეუღლე ლუსი.

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**

**კრედიტის/სესხის №IDA5245-GE; IBRD8263-GE**

**პროექტის №P130413**

**დავალების სახელწოდება:** საავტომობილო გვირაბის უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის მომზადება და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია - ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა.

**საიდენტიფიკაციო №EWHIP-4/CS/ICS-12**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად:

**დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე.**

კონსულტანტის მომსახურება მოიცავს: გორის, რიკოთის და ჩაქვი-მახინჯაურის გვირაბების დათვალიერება/ინპექტირებას, გვირაბების უსაფრთხოების არსებული დოკუმენტების (გვირაბების უსაფრთხოების GOST და SNIP სტანდარტების) დათვალიერება/ინსპექტირებას და საქართველოსთვის გვირაბების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ახალი დოკუმენტების შემუშავებას, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე; ტრენინგების ჩატარებას გვირაბების ტექნიკური პერსონალისათვის და დამკვეთის შესაბამისი თანამშრომლებისათვის. კერძოდ, კონსულტანტმა უნდა შეიმუშაოს შემდეგი დოკუმენტები:

1. გვირაბის ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სახელმძღვანელო;
2. გვირაბის ინსპექტირების სახელმძღვანელო;
3. გვირაბის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისათვის უსაფრთხოების სახელმძღვანელო;
4. გვირაბის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ზოგადი პროტოკოლი/სამოქმედო გეგმა (მათ შორის ინდივიდუალური საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროტოკოლები მოცემული სამი გვირაბისთვის: გორის, რიკოთის და ჩაქვი-მახინჯაურის გვირაბები);

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა“.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინცი პები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

- საინჟინრო ხარისხი და მინიმუმ 10 წლიანი ზოგადი პროფესიული საინჟინრო გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში;
- სასურველია საავტომობილო გვირაბების დეტალური პროექტების მომზადების 5 წლიანი გამოცდილება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- სასურველია გვირაბის უსაფრთხოების აუდიტის გამოცდილება, ასევე მსგავსი სახელმძღვანელოების/ პროტოკოლების ან/და საპროექტო დოკუმენტაციების განხილვის გამოცდილება გვირაბების უსაფრთხოების კუთხით;
- სასურველია გვირაბების მინიმალური უსაფრთხოების ზომების მოთხოვნების შესრულების გამოცდილება დაფუძნებული საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე (მაგალითად, ევროპული პარლამენტის და საბჭოს მიერ შემუშავებული დირექტივა 2004/54/EC).
- გვირაბის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების (მაგალითად, ეროვნული გეგმები, სახელმძღვანელოები, პროცედურების/პროტოკოლები, ტრენინგები) შემუშაევების და/ან განხორციელების უახლესი (ბოლო სამი წლის განმავლობაში) გამოცდილება, სასურველია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით.
- სავალდებულოა ინგლისური ენის თავისუფლად ცოდნა;
- სასურველია რუსული ენის ცოდნა;

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2017 წლის 13 მარტი 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**

**Project No. P130413**

**Assignment Title:** CONSULTING SERVICES FOR INNOVATION AND HARMONIZATION OF NEW GEORGIAN ROAD TUNNEL SAFETY TECHNICAL REGULATIONS ACCORDING TO INTERNATIONAL STANDARDS.

**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/ICS-12

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites **Individual Consultant** to express their interest in providing the following services: **CONSULTING SERVICES FOR INNOVATION AND HARMONIZATION OF NEW GEORGIAN ROAD TUNNEL SAFETY TECHNICAL REGULATIONS ACCORDING TO INTERNATIONAL STANDARDS**

The estimated duration of assignment is 4 month.

The scope of consultant's services include: Review and Inspect existing tunnels with the following Google Map coordinates: Gori Tunnel - 42.011632, 44.051767; Rikoti Tunnel - 42.058331, 43.489780; Chaqvi - Makhinjauri - 41.691758, 41.720989 and existing safety standards (GOST and SNIP standards developed during USSR on tunnel safety), Improvement and Development of new tunnel emergency response documents for Georgia based on international best practices and provide training to the respective staff of the Client, as well as technical staff of the tunnels.

In particular, Consultant shall develop:

a. Tunnel Safety Emergency Response Manual for Tunnel Operation;
b. Tunnel Inspection Manual;
c. Tunnel Design Review Safety Guide;
d. General Tunnel Emergency Response Protocol/ Action-Plan (including specific individual emergency Response Protocols for below listed three tunnels).

The Consultant will be selected under Chapter V "Selection of Individual Consultants" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Required Qualification of the Consultant:

- Engineer's degree and at least **10 years**' general professional engineering experience in road infrastructure sphere;
- Preferably **5 years'** experience in preparation of detailed designs for road tunnels using **EU standards;**
- Experience in tunnel safety audits, preparation of similar manuals/protocols and/or design reviews with focus on tunnel safety would be an asset;
- Experience in implementation of minimum safety requirements for tunnels based on international best practices (for example, EU practices developed in line with Directive 2004/54/EC of the European Parliament and of the Council) would be an asset;
- Most recent experience (past three years) in either development and/or implementation of tunnel emergency response (e.g., national plans, manuals, procedures/protocols, trainings), preferably in line with international best practices (state-of-the arts);
- Fluency in English language is mandatory;
- Knowledge of Russian language would be an asset;

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **March 13, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

# დამატებითი სერვისები დროებითი მოთავსების იზოლატორებში



**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ორგანიზებით, შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობების გაუმჯობესებისა და სათანადო სერვისით უზრუნველყოფის თემაზე, სასტუმრო „რუმსში" კონფერენცია ჩატარდა.**

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი, შსს-ს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციის მონაწილეებმა შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობა, ახლად დამტკიცებული რეგულაციები და დანერგილი სიახლეები განიხილეს.

**ღონისძიებაზე ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რაც დაკავებული არასრულწლოვნებისა და ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირებისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზებას გულისხმობს.**

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ ხორციელდება ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი გზის მშენებლობის პროექტი.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია გურჯაანის რაიონში, „მელიორაციასთან" მდებარე მოქალაქე **პაპუნა ზარდიაშვილის (პ/ნ 13001003781)** საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.142, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.141, 51.01.58.107)** მთლიანი ფართობის 4711.00 კვ.მ ნაწილი - **1800.00 კვ.მ** და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **პაპუნა ზარდიაშვილთან (პ/ნ 13001003781)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (ს/კ **51.01.58.142,** ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.141, 51.01.58.107) მთლიანი ფართობის 4711.00 კვ.მ-დან ნაწილის - **1800.00 კვ.მ.** გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №1-1/50 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება გურჯაანის რაიონში, „მელიორაციასთან" მდებარე მოქალაქე **პაპუნა ზარდიაშვილის (პ/ნ 13001003781)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.142, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.141, 51.01.58.107)** მთლიანი ფართობის 4711.00 კვ.მ-დან ნაწილზე - **1800.00** კვ.მ-ზე და მასზე არსებულ შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, გურჯაანის რაიონში, „მელიორაციასთან" მდებარე მოქალაქე **პაპუნა ზარდიაშვილის (პ/ნ 13001003781)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.142, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.141, 51.01.58.107)** მთლიანი ფართობის 4711.00 კვ.მ-დან ნაწილზე - **1800.00** კვ.მ-ზე და მასზე არსებულ შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ ხორციელდება ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი გზის მშენებლობის პროექტი.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ქალაქი გურჯაანი, ვაჩნაძის 1 შესახვევი, №11, მდებარე მოქალაქე **ალექსი კვეზერელის (პ/ნ 13001019388)** საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.307, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.230, 51.01.58.235)** მთლიანი ფართობიდან 1824.00 კვ.მ-დან ნაწილი - **410 კვ.მ,** მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **ალექსი კვეზერელთან (პ/ნ 13001019388)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების **(ს/კ 51.01.58.307, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.230, 51.01.58.235)** მთლიანი ფართობის 1824.00 კვ.მ-დან ნაწილზე - **410 კვ.მ.** გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №1-1/50 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ქალაქ გურჯაანში, ვაჩნაძის 1 შესახვევში №11, მდებარე მოქალაქე **ალექსი კვეზერელის (პ/ნ 13001019388)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.307, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.230, 51.01.58.235)** მთლიანი ფართობის 1824 კვ.მ ნაწილზე 410 კვ.მ-ზე მასზე არსებული შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, ქალაქ გურჯაანში, ვაჩნაძის 1 შესახვევში, №11, მდებარე მოქალაქე **ალექსი კვეზერელის (პ/ნ 130010019388)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.307, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.230, 51.01.58.235)** მთლიანი ფართობის 1824.00 კვ.მ-დან ნაწილზე - **410** კვ.მ-ზე, მასზე არსებული შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ ხორციელდება ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი გზის მშენებლობის პროექტი.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია გურჯაანის რაიონში, „ვეძირული" მდებარე მოქალაქე **ივანე ბრეგვაძის (პ/ნ 13001010261)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის **(ს/კ 51.01.58.298, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.205)** მთლიანი ფართობი - **467.00 კვ.მ** და მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობა, ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **ივანე ბრეგვაძესთან (პ/ნ 13001010261)** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (ს/კ **51.01.58.298)** მთლიანი ფართობის **467.00 კვ.მ.** გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №1-1/50 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება გურჯაანის რაიონში, „ვეძირული" მდებარე მოქალაქე **ივანე ბრეგვაძის (პ/ნ 13001010261)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ **51.01.58.298,** ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.205) მთლიან ფართობზე 467.00 კვ.მ-ზე და მასზე განთავსებულ შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, გურჯაანის რაიონში, „ვეძირული" მდებარე მოქალაქე **ივანე ბრეგვაძის (პ/ნ 13001010261)** საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ **51.01.58.298, ნაკვეთის წინა ნომერი 51.01.58.205)** მთლიან ფართობზე - **467.00** კვ.მ-ზე და მასზე განთავსებულ შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ფეხბურთი

# ბელგიურ ტალღაზე

**ევროპა ლიგის მეოთხედფინალში ერთბაშად სამი ბელგიური კლუბი ითამაშებს: „გენკი“, „გენტი“ და „ანდერლეხტი“.**

ბენილუქსელთა პროგრესი მართლაც დასაფასებელია, მაგრამ მათ მეტოქეთა აღნიშნული ტურნირისადმი არცთუ მთლად სერიოზული დამოკიდებულებაც გასათვალისწინებელია.

ეს რომ ასეა, ტრადიციული ბობოლების — ესპანეთის, იტალიის, ინგლისისა და გერმანიის მჭლე წარმომადგენლობაც ადასტურებს, რომლებსაც მორიგ ეტაპზე მხოლოდ თითო გუნდი ეყოლებათ (შესაბამისად: „სელტა“, „რომა“, „მანჩესტერი“ და „გლადბახი“).



როგორც ყოველთვის, ხმაურიანი სენსაციაც გამოცხვა: მისმა ავტორმა — კვიპროსის „აპოელმა“ ორრაუნდიანი დუელი თვით ბასკურ „ბილბაოს“ მოუგო.

**გიორგი შოთაძე**

◎ ძიუდო

# პრეზიდენტი ასე ფიქრობს

**ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ მარიუს ვიზერის განცხადებით, ახალ წესებს ფედერაცია ყურადღებით აკვირდება და სეზონის ბოლოს გადაწყვეტს, საბოლოოდ დაამტკიცებს თუ კიდევ რაიმეს შეცვლის. ვიზერმა ამ და სხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით ტვიტერზე ონლაინ-კონფერენცია მოაწყო და ძიუდოს გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხა.**

„ახალი წესებით უკვე რამდენიმე ტურნირი ჩავატარეთ და ამ ეტაპზე ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ძიუდოს წრეებში სიახლეებს საკმაოდ დადებითად აფასებენ. ჩვენი სახეობა უფრო დინამიური გახდა, თუმცა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მიმდინარე რეჟიმს სატესტოს უფრო დავარქმევდი, საბოლოო დასკვნაზე კი სექტემბერში ბუდაპეშტში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვისაუბროთ“ - თქვა მარიუს ვიზერმა.



ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ევროპის ღია ტურნირის სტატუსის მქონე შეჯიბრებების შედეგების დაბალი სარეიტინგო ქულებით შეფასებაზეც სთხოვეს კომენტარის გაკეთება. ვიზერის აზრით, მართალია ამ ტურნირებზე ძიუდოისტებს გაცილებით ნაკლები ქულები ერიცხებათ, ვიდრე გრან პრიზე, გრან სლემსა და მასტერსზე, მაგრამ არსებობს ლოგიკური მიზეზი, რაც მთელ რიგ საორგანიზაციო საკითხებს ემყარება.

კიდევ ერთი თემა, რომელსაც მარიუს ვიზერი შეეხო, მსოფლიოს 2017 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატია. წლის ერთ-ერთ უმთავრეს შეჯიბრებას 18-22 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეამ უნდა უმასპინძლოს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ჰკითხეს, არის თუ არა დარწმუნებული იმაში, რომ ფხენიანში ყველა ქვეყნის ნაკრები შეძლებს ჩასვლას. მარიუს ვიზერის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით თავად და საერთაშორისო ფედერაციის სრული შემადგენლობა აქტიურად მუშაობენ.

**კობა კობახიძე**

## ლეგენდები

**უკვე გაუწყეთ, რომ ახლახან სწორუპოვარ სლავა მეტრეველზე შექმნილი წიგნის ქართული გამოცემის პრეზენტაციაზე მისი ავტორი, უკვე 60 (!) კრებულის შემომქმედი დემიკო ლოლაძე ილია ჭავჭავაძის პრემიით დაჯილდოვდა.**

**ტყავის ბურთის დიდოსტატზე მომავალშიც ბევრი დაიწერება. მისი დიდი დამსახურების გათვალისწინებით, სწორედ სოჭელი რაჭველი გახლავთ ის პიროვნება, ვისაც ჩვენი ახალი რუბრიკის პირველი პუბლიკაცია ეძღვნება.**

# სლავა მეტრეველი
# მწვანე მინდვრის რაინდი

**„როცა მარჯვენა დაბალ კუთხეში ვურტყამ, ვიცი, რომ ბურთი აუცილებლად იქ უნდა მოხვდეს. მიზანს რომ ვაღწევ, კმაყოფილი ვარ, მაგრამ როცა ბურთს ურტყამ, ის კი მცველს ხვდება და რიკოშეტით ბადეში აღმოჩნდება, მაშინ მე მეცოდება მეკარე, რომელმაც სწორი რეაქცია გააკეთა... ცოდვაა მცველიც. ბურთი ბადეშია, სიხარულს კი ვერ გრძნობ. ჩემი ნება რომ იყოს, ასეთ გოლებს არ ჩავთვლიდი“, - ეს სიტყვები სახელოვან ქართველ ფეხბურთელს, გასული საუკუნის 50-60-იანი წლების თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდარულ თავდამსხმელს, გულშემატკივართა კერპ სლავა მეტრეველს ეკუთვნის, განუმეორებელ სპორტსმენსა და პიროვნებას, რომელსაც ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ ხატოვნად „მწვანე მინდვრის რაინდი“ უწოდა.**

„ეს ფეხბურთელი არასდროს აჭრილა ტრიბუნაზე, არასოდეს გამოუდვია მოედანზე თავი და არავისთვის უგრძნობინებია, შემხედეთ, რა კარგი და ძლიერი ვარ, განსაკუთრებული პატივი და აღიარება მომაგეთო. მას ზოგჯერ რცხვენოდა კიდეც, როცა „ბურანში“ შეჰყავდა მეტოქის დაცვა და გაოგნებულ მოწინააღმდეგეს საბოლოოდ თავგზას აკარგვინებდა... მეტრეველს არასოდეს გამოუმჟღავნებია მეტოქის აბუჩად ადგების სურვილი, იგი იყო კორექტული, როგორც ჭეშმარიტ ჯენტლმენს შეეფერება, და უშიშარი, როგორც მწვანე მინდვრის რაინდი“, - წერს ბატონი არჩილი.



### კორიფეებიდან - კორიფეებთან

სპორტის დამსახურებული ოსტატი სლავა მეტრეველი დაიბადა და გაიზარდა სოჭში. მამას, რომელიც ქალაქის საუკეთესო რესტორნებში შეფ-მზარეულად მუშაობდა, სურდა, შვილიც მის გზას გაჰყოლოდა, მაგრამ ჭაბუკს სულ სხვა მიზნები და მისწრაფებები აღმოაჩნდა. ისეთ საკურორტო ქალაქში ცხოვრობდა, სადაც გაზაფხულობით საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელები იყრიდნენ თავს ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად. თანატოლებთან ერთად თვალს ადევნებდა მათს ვირტუოზულ თამაშს, ელვისებურ ფინტებს და, ვინ იცის, გულშიც რამდენჯერ გაუვლია, მოედანზე ამ ფეხბურთელების გვერდით ყოფნა. ჟინმა და მონდომებამ თავისი გაიტანა. 16 წლის სლავა მეტრეველი უკვე სოჭის „სპარტაკში“ თამაშობდა. ორი წლის განმავლობაში (1955-1956) გორკის „ტორპედოს“ სპორტულ ღირსებას იცავდა, შემდეგ მოსკოვის „ტორპედოში“ (1956-1962) აღმოჩნდა, რომლის შემადგენლობაშიც 1960 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა და საკავშირო თასსაც დაეუფლა, ქვეყნის ნაკრებთან ერთად, სადაც გივი ჩოხელი და მიხეილ მესხიც გამოდიოდნენ, ევროპის ჩემპიონი გახდა. იუგოსლავიასთან ფინალური მატჩისას 43-ე წუთზე ანგარიში გალიჩმა გახსნა. შესვენების შემდეგ 49-ე წუთზე მეტრეველმა წონასწორობა აღადგინა, რამაც საბჭოთა ფეხბურთელებს გამარჯვების რწმენა დაუბრუნა და დამატებით დროში, 113-ე წუთზე პონედელნიკის გოლმა მათ ოქროს მედლები მოუტანა.

1963 წელს სლავა მეტრეველი თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა და 1971 წლის ჩათვლით მისი მაისურით გადიოდა მწვანე მინდორზე. აი, რას წერს ცნობილი რუსი სპეციალისტი გავრილ კაჩალინი: „ცხადია, სლავა მეტრეველს მანამდეც კარგად ვიცნობდი, ვიდრე თბილისში ჩამოვიდოდა. ასეთ ფეხბურთელს - უაღრესად ნიჭიერს, საზრიანსა და ერთგულს - ნებისმიერი ჩემი კოლეგა ინატრებდა“.

„მქონდა ბედნიერება, მოსკოვის „ტორპედოში“ მეთამაშა ისეთი გენიალური ფეხბურთელების გვერდით, როგორებიც იყვნენ ვალენტინ ივანოვი, ედუარდ სტრელცოვი, გენადი გუსაროვი, ვალერი ვორონინი. მადლობელი ვარ ჩემი მწვრთნელის - ვიქტორ მასლოვის, რომელმაც ჩემში პირველმა დაინახა გარემარბი, მანამდე ცენტრალურ თავდამსხმელად ვთამაშობდი. რა მელის „დინამოში“? გულახდილად რომ ვთქვა, პრობლემას ვერ ვხედავ, საერთო ენის გამონახვა, ვფიქრობ არ გამიჭირდება. ვიცი, რომ დინამოში დიდი ოსტატები თამაშობენ - მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი, ზაურ კალოევი, ვლადიმერ ბარქაია, შოთა იამანიძე... ზოგიერთ მათგანთან საკავშირო ნაკრებიდან ვმეგობრობ“, - ასე შეაფასა სლავა მეტრეველმა „დინამოში“ გადმოსვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უპირველეს გუნდში გატარებული რვა წლის განმავლობაში შესანიშნავმა თავდამსხმელმა კიდევ ერთხელ მოასწრო საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა: 1964 წელს ტაშკენტში ქართველმა ფეხბურთელებმა „ოქროს მატჩში“ მოსკოვის „ტორპედოს“ 4:1 მოუგეს და ერთი გოლი აქაც მეტრეველის ანგარიშზეა. იმავე წელს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, ხოლო ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის“ გამოკითხვით საბჭოთა კავშირში მესამე ფეხბურთელად დაასახელეს. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ქომაგებს ბრიტანეთშიც დაამახსოვრა თავი: „ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე სლავა რაღაც სასწაულებს ჩადიოდა. ერთი-ორჯერ ისეთი პასები მომცა, რომ გავიფიქრე: სლავა, შენ ყველას ჭკუიდან შეშლი-მეთქი. ერთ-ერთ ეპიზოდში გოლიც უნდა გამეტანა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს“, — იხსენებს გიორგი სიჭინავა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში სლავა მეტრეველმა 375 მატჩი ითამაშა და 83 გოლი გაიტანა, საკავშირო ნაკრების მაისურით 48-ჯერ იასპარეზა და 11-ჯერ აიღო მეტოქის კარი, საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის რვაჯერ მოხვდა, სამი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილემ (1962, 1966, 1970-მექსიკის განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოსულა) 1968 წელს „მარაკანაზე“ ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ისეთი კორიფეების გვერდით, როგორებიც იყვნენ გერმანელი ბეკენბაუერი, იუგოსლავიელი ჯაიჩი, უნგრელი ალბერტი, ესპანელი ამანსიო და სხვები. დიდ სპორტთან განშორების შემდეგ ერთხანს თბილისის „დინამოს“ ავარჯიშებდა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც დაიმსახურა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები სახელოვანმა ფეხბურთელმა ავადმყოფობასა და მატერიალურ სიდუხჭირეში გაატარა.

### მილიონებად შეფასებული ღარიბი

მეტრეველის დიდი საფეხბურთო კარიერა ერთგვარი კურიოზით დაიწყო: უკვე 20 წლის ნიჭიერი სოჭელი ჭაბუკი გორკის (ამჟამად - ნიჟნი ნოვგოროდი) „ტორპედოში“ თამაშობდა. 1956 წელს იქ სათამაშოდ ჩავიდა მოსკოვის „ტორპედო“ კონსტანტინ ბესკოვის ხელმძღვანელობით. მაშინ წესი იყო ასეთი: გუნდი, რომლის შემადგენლობიდან ფეხბურთელი საკავშირო ნაკრებში მოხვდებოდა, მის დაბრუნებამდე საკავშირო ჩემპიონატის თამაშებიდან თავისუფლდებოდა. ავტოქარხნელთაგან ვალენტინ ივანოვი და ედუარდ სტრელცოვი მელბურნის ოლიმპიადაზე გაემგზავრნენ. სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ბესკოვმა გადაწყვიტა, გორკელ თანაკლუბელებთან ამხანაგური მატჩი გაემართა. ორთაბრძოლა მოსკოველებმა 0:1 წააგეს და ის ერთადერთი გოლი მეტრეველმა გაიტანა. შეხვედრის შემდეგ დედაქალაქელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ქართველ ფეხბურთელს რკინიგზის სადგურზე გაცილება სთხოვა, მერე კუპეში მიიწვია და მატარებლის გასვლამდე კარიც ჩაუკეტა. ყმაწვილს აფორიაქება რომ შეატყო, მეორე მწვრთნელის თანდასწრებით დაამშვიდა: „გორკელებს მე მოველაპარაკებიო“...

ასე აღმოჩნდა სლავა მეტრეველი მოსკოვის „ტორპედოში“, მერე საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელთა შემადგენლობაში არაერთ წარმატებას მიაღწია. თუმცა, სახელოვანი ფეხბურთელისთვის ორი რამ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი: პირველი - 1960 წლის ევროპის ჩემპიონატი, რომლის ფინალშიც მან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, იმ გადამწყვეტი მატჩის წინ ნაკრების მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა მეტრეველი გააფრთხილა, ლევ იაშინის ტრავმის შემთხვევაში (მაშინ შეცვლები არ შეიძლებოდა) კარებში შენ ჩადგებიო. საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. და მეორე - 1961 წლის გამარჯვება ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრებთან - 2:1. სამხრეთ ამერიკის მოქმედი ჩემპიონი „რივერ პლეიტზე“ პირველად დამარცხდა. პაექრობის შემდეგ გულშემატკივრებმა სლავას მაისურის ნაფლეთები სუვენირებად წაიღეს. მეორე დღეს ადგილობრივმა გაზეთებმა საბჭოთა ფეხბურთელების პორტრეტები გამოაქვეყნეს, საუკეთესოების ტალანტი თანხითაც შეაფასეს: მიხეილ მესხი - 50 მილიონი, სლავა მეტრეველი - 50 მილიონი, ვიქტორ პონედელნიკი - 50 მილიონი...

და ასეთი ფეხბურთელი დიდ სპორტთან განშორების შემდეგ სხვისი ხელისშემყურე გახდა. „როცა ძალიან გაგვიჭირდა და ზემდგომ ინსტანციებში რომ გაიგეს, სლავა უმუშევარი იყო, რაიკომში დაიბარეს და ხინკლის კაფე „ნიავის“ დირექტორობა შესთავაზეს, - იხსენებს მეტრეველის მეუღლე ქალბატონი ტატიანა, - მოსწონდა თუ არა ეს სამუშაო, საკითხი ასე არ იდგა, ოჯახი იყო გამოსაკვები. მადლობა ღმერთს, მერე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სლავას გვერდით დაუდგნენ“. სამწუხაროდ, ეს ბედნიერებაც დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან „ნიავი“ ვიღაცებმა ქარს გაატანეს... დაუწვეს.

„სლავა უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო, — წერს ერთგან ვეტერანი დინამოელი ვლადიმერ ბარქაია. — ჩვენს პერიოდში მარჯვენა „კრაიზე“ მსგავსი არავინ ყოფილა. სლავამ შემოიტანა თბილისის „დინამოში“ პირველად პროფესიონალიზმი. ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ თითქმის არავინ არაფერში დახმარებია. ღარიბმა და მშიერმა დატოვა ეს ქვეყანა“.

სლავა მეტრეველი თბილისში 1998 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა.

**ვაჟა დანელია**

## იციკ მოშე: არ მინდა, ორ ქვეყანას შორის კარგი წარსული ფრაზეოლოგიამ დააზიანოს



**საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა და „ისრაელის სახლის“ დამფუძნებელმა იციკ მოშემ გუშინ მედიას გააცნო რამდენიმეპუნქტიანი გეგმა, რომელიც ისრაელში საქართველოს მოქალაქეების უვიზოდ შესვლის საკითხს უკავშირდება.** იციკ მოშეს თქმით, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეების ისრაელში შესვლასთან დაკავშირებით საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა და ზოგჯერ ეს გამოხატულია ანტისემიტური ფრაზეოლოგიით, ის გამოდის ინიციატივით, რომ დროებით, 100 დღით შეჩერდეს უვიზო მიმოსვლა, რათა ორივე მხარის მონაწილეობით სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა კარგად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი. ამასთან, ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაიწყოს ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და აკრძალვებზე ახსნა-განმარტებითი სამუშაოები, რომელშიც ასევე აქტიურად ჩაერთვება „ისრაელის სახლი“.

როგორც იციკ მოშემ აღნიშნა, უნდა მოხდეს ისრაელში ტურისტად ან სამუშაოდ ჩასულთა გამიჯვნა და ტურისტულმა კომპანიებმა იმუშაონ მხოლოდ ტურისტებზე. რაც შეეხება სამუშაოს მაძიებლებს, ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს. **„ოფიციალური სამუშაო კვოტას გამოყოფის საკითხი ჩვენ კარგა ხნის წინათ დავსვით და ისრაელისგან მივიღეთ თანხმობაც. სასურველია, ახლა ეს შეთანხმება უკვე მხარეებს შორის ოფიციალურად გაფორმდეს და საქართველო, მსგავსად აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისა, მიიღებს სამუშაო კვოტას“,** — განაცხადა იციკ მოშემ და დასძინა: **„გაუგებრობა და მედიის კითხვები — რატომ აჩერებენ ქართველ ტურისტებს ისრაელის აეროპორტში? უნდა დასრულდეს. მე არ მინდა, ორ ქვეყანას შორის კარგი წარსული ამ ფრაზეოლოგიამ დააზიანოს. გვჯერა, რომ ინიციატივებს, რომელზეც მომავალ კვირას ვისაუბრებთ, ექნება შედეგი. ორივე ქვეყნის მთავრობას უნდა მივმართოთ, პირველ ეტაპზე, დროებით, 100 დღით შეაჩერონ უვიზო მიმოსვლა საქართველო-ისრაელს შორის. ამ 100 დღეში უნდა შეიქმნას ორმხრივი კომისია, რომელიც იმუშავებს საკითხების მოგვარებაზე. ისრაელის სახელმწიფომ უნდა გამოყოს სამუშაო კვოტა საქართველოდან ჩასული მოქალაქეებისთვის. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ტურისტულმა კომპანიებმა არ ივაჭრონ ადამიანებით და არ მოიტყუონ. ტურისტულმა კომპანიებმა უნდა იმუშაონ მხოლოდ ტურიზმზე“.**

## საქართველო თავის ტერიტორიაზე სამხედრო მომზადების ამერიკულ ცენტრს განათავსებს

აზერბაიჯანულ გამოცემა „kaspiy.az“-ის მიერ გამოქვეყნებულ რაუფ ორუჯევის სტატიაში მიმოხილულია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მოვლენები — ევროპაში თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას ვიზიტი და ამერიკაში საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის მიერ გამართული შეხვედრები.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს პუბლიკაციიდან:



**„საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას ამასწინანდელი ევროპული ვიზიტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა: ქართული თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ჯერ მონაწილეობა მიიღო ნატოს მინისტერიალში, შემდეგ კი მნიშვნელოვან საკითხზე მოილაპარაკა თავისი პატარა რესპუბლიკისათვის, რომლის ორი რეგიონი რუსეთის მიერაა ოკუპირებული — ტერიტორიის თითქმის 20%. საინტერესოა, რომ ლევან იზორიამ ბრიუსელში მინისტრების შეხვედრაზე მიწვევა ბოლო მომენტში მიიღო: ცოტა ხნის წინათ მას ოპოზიცია აკრიტიკებდა - „ბრიუსელში წასვლა იმიტომ არ გინდა, რომ გეშინია, რუსეთი განრისხდებაო“, მინისტრი კი პასუხობდა - „ბრიუსელში არავის მივუწვევივარო“. საბოლოოდ კი, ალიანსის ხელმძღვანელებმა, როგორც ჩანს, თავისი ერთგული პარტნიორისადმი პატივისცემა გამოიჩინეს და თბილისისადმი გამონაკლისი გააკეთეს: მინისტრთა სამიტის პარალელურად, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაც დანიშნეს, რამაც ლევან იზორიას შესაძლებლობა მისცა ნატოს შტაბ-ბინაში ორმხრივი შეხვედრები გაემართა და გენმდივან იენს სტოლტენბერგთან ესაუბრა. (...)**

**მაგრამ ყველაზე მეტად შედეგიანი და გარკვეულწილად სენსაციურიც კი აღმოჩნდა ლევან იზორიას ვიზიტი გერმანიის ქალაქ ჰოენფელსში, სადაც აშშ-ის სამხედრო ბაზა არის დისლოცირებული და სადაც სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების საერთაშორისო სასწავლო ცენტრი მდებარეობს. ქართველი თავდაცვის მინისტრი შეხვდა ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალს ფრედერიკ ბენ-ჰოჯესს და მასთან მნიშვნელოვან საკითხზე მოილაპარაკა — საქართველოში, კერძოდ, თბილისთან ახლოს, ვაზიანში ანალოგიური სამხედრო-სასწავლო ცენტრის გახსნის თაობაზე, სადაც ქართველი ჯარისკაცები გაიწრთვნებიან ამერიკელი და ევროპელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ. ნიშანდობლივია, რომ ცენტრის გახსნაზე საქართველოს, ანუ რუსეთის მეზობელს, თანხმობა სწორედ ამერიკელმა გენერალმა, ევროპაში აშშ-ის ძალების სარდალმა ბენ-ჰოჯესმა მისცა, რომელიც საქართველოში რამდენჯერმე იყო ჩასული ერთობლივი ქართულ-ამერიკულ-ნატოური სამხედრო წრთვნების გაკონტროლების მიზნით. გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ გენერალმა განაცხადა ერთხელ თბილისში ყოფნისას: „ამ წვრთნებში აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობის მიზანი ისაა, რომ შევამოწმოთ, აუცილებლობის შემთხვევაში, რამდენად სწრაფად მოვლენ ქართულ მიწაზე ამერიკის არმიის ქვედანაყოფებიო“. სხვათა შორის, ფრედერიკ ბენ-ჰოჯესმა ამ წვრთნების დროს ქება-დიდება უძღვნა ქართველ ჯარისკაცებსაც, რომლებიც ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეებენ, კერძოდ, ავღანეთში.**

**რასაკვირველია, თბილისში აცნობიერებენ იმას, რომ აშშ-ისა და საერთოდ, დასავლეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორაა დაცული საქართველოში ადამიანის უფლებები, როგორია დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების დონე და ა.შ. ამასთან, დასავლური კურსიდან გადახვევას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ აპირებს, რომელსაც ოპოზიცია რუსეთისადმი პასიურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს და ხშირად არცთუ უსაფუძვლოდ.**

**ამ სიტუაციაში ანალიტიკოსებს, საქართველოს შიგნით და გარეთ, კითხვები უჩნდებათ: განა რუსეთი მშვიდად გააგრძელებს ცქერას, თუ რა ხდება მის საზღვრებთან, როგორი სამხედრო აქტიურობა მიმდინარეობს? რასაკვირველია, ძალიან გულუბრყვილო ადამიანი უნდა იყო, რომ რუსეთის მშვიდად ყოფნა დაიჯერო. ცხადია, კრემლი აუცილებლად გაღიზიანდება, მაგრამ მოდით კითხვა ასეც დავსვათ: განა რა არჩევანი რჩება საქართველოს? განა თბილისმა უნდა შეწყვიტოს თავისი ჯარისკაცების მომზადება, უარი თქვას ნატოს სტანდარტებზე, ქარს გაატანოს მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი სამხედრო მშენებლობის გამოცდილება და საბოლოოდ, იქნებ უნდა შეურიგდეს კიდეც თავისი ძირ-ძველი მიწების ოკუპირებას? სულელისთვისაც კი ნათელია, რომ ასეთ ვარიანტზე არც ერთი საკუთარი თავისადმი მეტ-ნაკლებად პატივმცემელი სახელმწიფო არ დათანხმდება...**

„KASPIY.AZ“ (აზერბაიჯანი)

## სანთელი



საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრი, გამოჩენილი ენერგეტიკოსი, ქალბატონი

### ლიანა ჯმუხაძე

და ვუსამძიმრებთ ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

## ხსოვნა

# ჯონდი ჯოჯუა



კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი, დიდი კოლხი, სახელგანთქმული შორეული ნაოსნობის კაპიტანი, სულმნათი **ჯონდი ჯოჯუა** წავიდა ამქვეყნიდან და შეურთდა ზეციური საქართველოს იმ სახელოვან თანავარსკვლავედს, უფალმა რომ მიუჩინა ადგილი. ღმერთს შევთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს მისი შეუდრეკელი, ვაჟკაცური სული.

ჯონდი ჯოჯუა დაიბადა 1934 წელს საქართველოს საპორტო ქალაქ ფოთში, დაამთავრა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, შემდეგ ქალაქ როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის სპეციალობით.

უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ მუშაობა დაიწყო ქალაქ მურმანსკის საოკეანო თევზჭერის სამმართველოში, საიდანაც იწყება მისი სახელოვანი მოღვაწეობა შორეული ნაოსნობის კაპიტნის რანგში.

1963 წელს საქართველოში შეიქმნა საოკეანო თევზჭერის მთავარი სამმართველო. როგორც გამორჩეული, მცოდნე სპეციალისტი, დაინიშნა ამ სამმართველოში თევზსაჭერის გემის კაპიტან-დირექტორად. თავისი ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობის პერიოდში მრავალგზის დაჯილდოვდა სახელმწიფო ორდენებით და სიგელ-მედლებით. წლების განმავლობაში მუშაობდა „საქშავზღვათევზჭერის“ მთავარ სამმართველოში საზღვაო ინსპექციის უფროსად. პირნათლად მოიხადა სამსახურებრივი ვალი.

პენსიაში გასვლის შემდგომ ქალაქ ფოთის საზღვაო სასწავლებელში პედაგოგად მუშაობა დაიწყო, სადაც, როგორც ყველგან, ახალგაზრდების უღრმესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

იგი ბრწყინვალე ქართული ოჯახის თავკაცი, შესანიშნავი მეგობარი და გამორჩეული სპორტსმენი იყო. მისი ოჯახის დიდ ტრადიციას აგრძელებენ ჯონდის შვილები გოჩა და ბესიკი. ორივენი შორეული ნაოსნობის კაპიტნები არიან, ეს ხომ საერთოდ იშვიათობაა, ერთი ოჯახიდან — 3 შორეული ნაოსნობის კაპიტანი.

დავკარგე ნამდვილი მეგობარი, ყველასათვის მისაბაძი, ვაჟკაცი, პატიოსანი, სანდო ადამიანი, ღმერთს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს მისი სული.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა მის მშობელ ქალაქს ასეთი სასახელო ვაჟკაცის აღზრდის გამო.

**უშანგ იოსელიანი,**
შორეული ნაოსნობის კაპიტანი

---

უშანგ იოსელიანი შვილებით ემზარ, იზაბელა იოსელიანებით, რძლებით ნადია, ეკა იოსელიანებით, ნუკა მაღლაკელიძით, შვილიშვილებით დათო, ლევან, ანით, შვილთაშვილებით მაშიკო, გიორგი, ბარბარეთი მწუხარებით იუწყება, ძვირფასი მეგობრის

### ჯონდი ჯოჯუას

გარდაცვალებას.

## სანთელი

სკოლის მეგობრები დიტო ტყეშელაშვილი, თემურ გელოვანი, ილია ბაქრაძე, ჯონი ბურდული, თამაზ ქიტიაშვილი, თემურ ქებურია, ომარ ქავთარაძე, რეზო პაპელიშვილი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### ვაჟა ჩაგანავა

გამოსვენება 26 თებერვალს 14 საათზე, მის: ვაჟა-ფშაველას I შეს. №3. II სად.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ცნობილ ტელეჟურნალისტს მაია ასათიანს შვილის

**ნუცა მახვილაძის**

მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

# მორცხვი ქალბატონები

**ქალების უმრავლესობა სექსუალურ ურთიერთობებზე უარს... მორიდების გამო ამბობს, — ეს დასკვნა გამოკითხვის შედეგად ავსტრალიელმა მეცნიერებმა გამოიტანეს.**



ალმოჩნდა, რომ ქალების 40 პროცენტს სექსუალური ურთიერთობები სინათლეზე არ შეუძლია, კიდევ 40 პროცენტს არ უყვარს, როცა პარტნიორი მათ შიშველს ხედავს, 18 პროცენტს თავი სექსუალურად მიმზიდველად არ მიაჩნია, რის გამო პარტნიორებთან სექსუალური სურვილების შესახებ ლაპარაკს თავს არიდებენ.

# თქვენი მეგობარი კბილის ჯაგრისი

**იმათთან შედარებით, ვინც პირის ღრუს ჰიგიენას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, მათ, ვინც კბილებსა და ღრძილებს გულმოდგინედ უვლის თავისა და კისრის სიმსივნეები გაცილებით იშვიათად უვითარდებათ, დაადგინეს მაუნტ სინაის საავადმყოფოს იკანოვას სამედიცინო სკოლის ამერიკელმა მეცნიერებმა.**



მათ 13 კვლევის შედეგები დააჯამეს, რომლებშიც 20 ათასმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. მათ ნაწილს პირის ღრუს, საყლაპავისა და თავის სხვა ნაწილების სიმსივნეები ჰქონდათ დადგენილი, გამოკვლევის 12 ათასი მონაწილე კი ჯანმრთელი იყო. მეცნიერებმა პირის ღრუს ჰიგიენა შეაფასეს, რა დროსაც ყურადღებას ისეთ ფაქტორებს აქცევდნენ, როგორებიცაა სტომატოლოგთან ვიზიტების რეგულარობა, კბილების ყოველდღიური გამოხეხვა, კბილების არარსებობა, ღრძილებიდან სისხლის დენა.



# გილოცავთ!

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი**

**ულრმესი მეგობრული სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის ძველი პლეადის დამსახურებულ წარმომადგენელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ესტრადის ბრწყინვალე ვარსკვლავს, ჩვენი დედაქალაქის უსაყვარლეს კოლორიტსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ**

**ივიკო საყვარელიძეს**



# თქვენს საყურადღებოდ, თამბაქოს მწეველებო!

**გინდათ, თამბაქოს მოწევას თავი დაანებოთ, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთებას ვერ ახერხებთ? მაშინ იქნებ მანამდე ეცადოთ და სიგარეტის მოწევით მიყენებული ზიანი შეამციროთ, რისთვისაც რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ:**

- ნუ მოწევთ ფიზიკური აქტივობის, ვთქვათ, სექსის, ვარჯიშის, ბალში თუ ბოსტანში მუშაობის შემდეგ. საქმე ისაა, რომ ფიზიკური აქტივობა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამიტომ თუკი ამ დროს სიგარეტს მოუკიდებთ, მავნე ნივთიერებები ორგანიზმში უფრო სწრაფად და უფრო დიდი ოდენობით გავრცელდება;
- უზმოზე ნუ მოწევთ: როცა კაცი მშიერია, კუჭი ცარიელია, მაშასადამე ნიკოტინს გზად არანაირი წინააღმდეგობა არ ხვდება. ნერწყვთან შერეული მავნე ნივთიერებები კუჭის ლორწოვანი გარსის დაშლას იწყებენ, რასაც შესაძლოა, კუჭ-ნაწლავთა მთელი სისტემის ზიანი მოყვეს.
- ეცადეთ, სიგარეტი ბოლომდე არ მოწიოთ: რაც უფრო ახლოსაა თამბაქო ფილტრთან, მით უფრო მაღალია მასში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია. მოწიეთ სიგარეტის ორი მესამედი, მერე კი ნუ დაინანებთ და გადააგდეთ იგი!
- ნუ მოწევთ ალკოჰოლის სმის დროს: ნიკოტინი სისხლძარღვებს ავიწროებს, ალკოჰოლი კი აფართოებს. ახლა წარმოიდგინეთ, თუ რა ხდება ორგანიზმში, როცა სმის დროს კაცი თამბაქოს ეწევა!



- ნუ მოწევთ ბინაში: ალმოჩნდა, სიგარეტის კვამლის ტოქსიკურ ნივთიერებებს რბილი ავეჯი, ხალიჩები, ფარდები ისრუტავენ, რასაც შესაძლოა, ძალიან მძიმე შედეგი მოჰყვეს;
- ნუ მოწევთ მაშინ, როცა რაღაცას აკეთებთ, ვთქვათ, წიგნს კითხულობთ, ან კომპიუტერთან მუშაობთ: ამ დროს ანგარიშგაუწევლად თქვენსავე ნორმაზე გაცილებით მეტს ეწევით;
- თავი მოარიდეთ ბოლის ღრმად ჩასუნთქვას — მაშინ ორგანიზმში ნაკლები ტოქსინები მოხვდება;
- იკვებეთ სრულფასოვნად: თამბაქოს მწეველებს ვიტამინ C-ს მოთხოვნა სხვებზე მეტად აქვთ. იგივეს თქმა შეიძლება A და E ვიტამინებზე, რომლებსაც შეიცავენ ციტრუსოვანი ნაყოფები, კივი, მცენარეული ზეთი, ნიგოზი, ისპანახი, კვერცხი, კარაქი, ასევე წითელი, ყვითელი და ნარინჯისფერი ხილი.

# ეკოლოგიის მსხვერპლი

**გათბობისა და კონდიციონირების საზოგადოებრივი და კერძო სისტემები, გაუმართავი ავტომანქანების გამონაბოლქვი, ნახშირისა და დამწვარი ნაგვის ბოლი, ასევე გეომორფოლოგიური ადგილმდებარეობა და ა.შ. — ესაა ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი მიზეზები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დედამიწაზე ამ მხრივ ყველაზე დაბინძურებული ქალაქების სია გამოაქვეყნა.**



სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ამ ჩამონათვალის ლიდერია ირანის ქალაქი **ზამბოლი,** რომელსაც ზაფხულობით ქარიშხლები ატყდება თავს. ამ სავალალო მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილზეა **ინდოეთის** ქალაქები **გვალიორი** და **ალაჰაბადი**. სიაში მეოთხეა **საუდის არაბეთის** დედაქალაქი **ერ-რიადი,** ასევე **ელ-ჯუბაილი,** შემდეგ მოდიან ისევ **ინდოეთში პატნა** და **რაიპური,** სხვები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, კატასტროფული ეკოლოგიური პირობების გამო, დედამიწაზე ყოველწლიურად შვიდ მილიონზე მეტი კაცი იღუპება.

# შიმშილი კარგი გუნებისა...

**ცოტა ხნის წინათ ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ შიმშილი ადამიანს... უფრო ბედნიერს ხდის.**



მეცნიერების განცხადებით, ახლახან აღმოჩენილი შიმშილის გრძნობაზე პასუხისმგებელი ჰორმონი გრელინი ანტიდეპრესიული ეფექტის მქონეა. როცა კაცი მშიერია, ამ ჰორმონის შემცველობა, მეტია, და, მასთან ერთად კი გუნებგანწყობაც კარგი აქვს.

მაგრამ, თურმე, გამამხნევებელი ეფექტი მარტო ოდნავ შიმშილის გრძნობას ახლავს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6014; ევრო - 2.7434;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2432;
100 რუბლი - 4.4836; თურქული ლირა - 0.7268;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4553;
1000 სომხური დრამი - 5.3505.

**ამინდი 25 თებერვლისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -1 | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8, | დღე +14 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +2, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე +2, | დღე +16 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge